ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ტატიანა სიჭინავა

კურორტ წაღვერის რეაბილიტაციისა და განვითარების ახალი მიმართულებების გამოვლენა: ტრანსდისციპლინური მიდგომა

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი,
გეოგრაფიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

კურორტ წაღვერის რეაბილიტაციისა და განვითარების ახალი მიმართულებების გამოვლენა: ტრანსდისციპლინური მიდგომა

დღეს მსოფლიოში დასვენება და გაჯანსაღება ადამიანების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად იქცა. ჯანმრთელობის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით დამსვენებლები სულ უფრო ხშირად ირჩევენ ისეთ კურორტებს, რომლებიც ცნობილია საკუთარი სამკურნალო, გამაჯანსაღებელი ფუნქციით. საქართველო განთქმულია თავისი მდიდარი ტურისტული პოტენციალით. უამრავ ქართულ კურორტს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კურორტებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა პერიოდში. მსგავსი კურორტის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს წაღვერი, ცნობილი, უნიკალური კურორტი, რომელიც დღეს დამსვენებლების სიმცირეს განიცდის. ტურიზმი აქ შესაბამისად ვერ ვითარდება, მაშინ, როცა კურორტს აქვს ამის მნიშვნელოვანი რესურსი, პოტენციალი და ხანგრძლივი ისტორია. წაღვერში შესაძლებელია ტურიზმის ახალი აქტუალური მიმართულებების დანერგვა, რაც მეტ საერთაშორისო დამსვენებელს მოიზიდავს და ამავდროულად ჩვეული პროფილის - სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმისა და საოჯახო ტურიზმის პოპულარიზაცია.

ნაშრომი ეძღვნება აღნიშნული კურორტის ტურისტული პოტენციალის ანალიზს, რათა გამოვლინდეს კურორტის პერსპექტივები, განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, პრობლემები და შესწავლის საფუძველზე დადგინდეს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს კურორტის ტერიტორიაზე.

ნაშრომი ეფუძნება 2018 წელს წაღვერში განხორციელებულ ტრანსდისციპლინურ კვლევას. ტრანსდისციპლინური მიდგომა ჯერ ახალია საქართველოში და სწორედ მისი მეშვეობით არის შესაძლებელი ადგილის მრავალმხრივი და ამომწურავი შესწავლა. დღეს, მასობრივი ტურიზმის ეპოქაში, აუცილებელია უნიკალური კურორტების მაქსიმალურად ათვისება და აქ სამკურნალო ფაქტორთან ერთად სხვა, ახალი ინოვაციური მიმართულებების მოძიება,

რაც მეტ მიმზიდველობას შესძენს კურორტს და შესაფერისი სეგმენტის ტურისტს მოიზიდავს. კვლევის პროცესში გამოყენებულია კვლევის შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) მეთოდები. რაოდეონობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირი ინტერვიუები. მოსახლეობა გამოიკითხა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულიდან. პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. ამავდროულად ჩატარდა ინტერვიუები ექსპერტებთან და დამუშავდა მეორადი მონაცემები არქივიდან. ადგილის შესწავლის საფუძველზე მოხდა კურორტისთვის მთავარი გამოწვევების, პრობლემების ანალიზი. ნაშრომი მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეხება წაღვერს, ეხმიანება ყველა საბჭოთა კავშირში პოპულარულ კურორტს, რომელიც დღეს მივიწყებულია.

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტები, კურორტის რეაბილიტაცია, ტურიზმის ახალი მიმართულებები, ტრანსდისციპლინური კვლევა.

Annotation

Nowadays rest and recovery have become one of the main demands of people in the world. In order to restore and retain health, vacationers are increasingly selecting resorts that are known for their medical and healing properties. Georgia is well known for its rich tourism potential. There are special places among Georgian health-care resorts that were popular in Soviet times. One of them is Tsagveri, a very famous and unique resort in the Soviet period, which is experiencing a shortage of tourists today. Tourism is not developing here properly, while the resort has a significant resource and a long history. In Tsagveri, it is possible to introduce new current directions of tourism, which will attract more international visitors and at the same time to restore the usual profile – medical and family tourism.

Both the research and paper are dedicated to analyzing the tourism potential of the mentioned resort in order to identify the resort prospects, the hindering factors of development and the main directions that can be developed here.

The research was carried using the transdisciplinary approach, this approach is new in Georgia and it will help to study area comprehensively. As a result of the research, it will be possible to talk not only about Tsagveri but also about other resorts which are practically non-functional after the collapse of the Soviet Union and require rehabilitation. Today, during the mass tourism era, it is necessary to explore the unique resorts and along with the healing factor discover other new innovative directions that will attract tourists of different categories.

Within the scope of the research were used mixed (quantitative and qualitative) methods. The facial interview method was used within the scope of quantitative research. The population was interviewed from different territorial units. A face interview was conducted through a pre-prepared structured questionnaire. In-depth interview and expert survey were selected as a qualitative method of the research. Through qualitative research, it was possible to study different views about the prospective development of the resort. The local population, as well as the parties

involved in tourism and neighboring businesses, stakeholders, vacationers and persons employed in the municipality, were interviewed.

During the research, the area was studied and the main challenges and problems of the resort were analyzed. The research is important not only because it concerns Tsagveri, but it also touches all the popular resorts in the Soviet Union that are forgotten today.

Keywords:

Health resorts, rehabilitation of the resort, new directions of tourism, transdisciplinary research.

MA thesis. Sitchinava Tatiana - Rehabilitation and Detecting New Directions of Development in resort Tsagveri: Transdisciplinary Approach.

სარჩევი

შესავალი…….....7

თავი I. კურორტ წაღვერის განვითარება საბჭოთა პერიოდიდან დღემდე.....12

1.1 ლიტერატურისა და ცნებების მიმოხილვა……..…….....…...12

1.2 კურორტ წაღვერის ზოგადი აღწერა……....……..…….....13

1.3 წაღვერი საბჭოთა პერიოდში…….....18

1.4 წაღვერში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დახასიათება..22

თავი II. კურორტ წაღვერის ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგები…….....30

2.1 კვლევის მეთოდოლოგია.....…….....30

2.2.1 კურორტზე არსებული პრობლემები.....32

2.2.2 ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგები…….....….....…….....…..37

2.3.1 SWOT და PESTEL ანალიზი…….....……....45

თავი III. კურორტის განვითარების მიმართულებები.....52

3.2 ძირითადი მიგნებები.....52

3.3 ტურიზმის ინოვაციური და მომგებიანი მიმართულებები.....56

დასკვნა.....73

გამოყენებული ლიტერატურა.....77

დანართი.....82

შესავალი

თემის აქტუალობა. ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი და მნიშვნელოვანი სექტორია. საქართველოში იგი აქტიურად ვითარდება და შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს.

2016 წელს საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 6,350,825 იყო, რამაც ქვეყანას პირველად 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა *(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016)*. 2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 7,5 მილიონზე მეტი შეადგინა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი რეკორდულია და 8,679,544-ის ტოლია *(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2018)*. რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტების განხორციელების მიზნებს, აქ პირველ ადგილს დასვენება, გართობა და რეკრეაცია იკავებს (Holiday, Leisure, Recreation) – 42.7% *(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო, 2018)*. თანამედროვე მსოფლიოში დასვენება და გაჯანსაღება ადამიანთა ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნილებად იქცა. 2017 წელს მსოფლიოს საერთაშორისო მოგზაურობათა 55% სწორედ რომ მოცალეობის, დასვენებისა და გაჯანსაღების მოტივით ხორციელდებოდა *(World Tourism Organization, 2018)*. საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის სწრაფად განვითარება სულ უფრო მზარდ მოთხოვნას წარმოშობს ადგილობრივ კურორტებზე, ვინაიდან ტურისტთა უმეტესი ნაწილი სწორედ დასვენება, გაჯანსაღებისთვის ჩამოდის. 2017 წელს გამაჯანსაღებელი ტურიზმის მოცულობა მსოფლიოში შეფასებული იყო 639.4 მლრდ. აშშ დოლარად. იგი ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადგანვითარებადი დარგია, რომელიც 2015-2017 წლების განმავლობაში ყოველწლიურად 6.5%-ით იზრდებოდა *(კვარაცხელია, ყუფარაძე 2018)*.

ქალაქებში არსებული სტრესის, ჰიპოდინამიის, დაბინძრებული გარემოსა და ცხოვრების მაღალი ტემპის გამო იმატებს მოთხოვნა ისეთი ადგილების მონახულებაზე, რომლებიც ჯანმრთელობისა და სიმშვიდის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. დამსვენებლები მეტად

ირჩევენ ისეთ კურორტებს, რომლებიც ცნობილია საკუთარი სამკურნალო ფაქტორებით, ისტორიითა და გამოცდილებით. სწორედ ამიტომ დღეს, მასობრივი ტურიზმის ეპოქაში, აუცილებელია ისეთ კურორტებს მიექცეს ყურადღება, რომლებიც უნიკალური ბუნებრივი თვისებებით გამოირჩევა. წაღვერი სწორედ ასეთი ადგილია და მას აქვს განვითარების პერსპექტივა და პოტენციალი. კურორტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მისთვის ჩვეული პროფილის (სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმი და საოჯახო ტურიზმი) პარალელურად, ტურიზმის ახალი აქტუალური მიმართულებების დანერგვაა შესაძლებელი მეტი დამსვენებლის მოსაზიდად.

კვლევის ობიექტი. საკვლევი თემის ობიექტია კურორტი წაღვერი, მასთან დაკავშირებული რესურსები და სამომავლო განვითარების თანმდევი გამოწვევები, მის მართვაში ჩართული აქტორები, სერვისის მიმწოდებლები და მომხმარებლები, მათ შორის არსებული ურთიერთობები.

კვლევის მიზანი. კურორტ წაღვერის ტურისტული პოტენციალის ანალიზი, რათა დადგინდეს ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა აქ განვითარება მომგებიანი იქნება კურორტის სამომავლო განვითარებისათვის.

კვლევის ამოცანები.

- წაღვერის როლის შეფასება საბჭოთა პერიოდში;
- კურორტის SWOT-ანალიზი;
- კურორტის Pestel-ანალიზი;
- წაღვერის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების იდენტიფიკაციის საფუძველზე სამომავლო განვითარების გზების დასახვა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომი ეფუძნება 2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სხვადასხვა ფაკულტეტის (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა) სტუდენტებისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლების მიერ წაღვერში განხორციელებულ ტრანსდისციპლინურ კვლევას. ტრანსდისციპლინური კვლევის პროცესში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები (როგორც რაოდენობრივი - ადგილობრივ მოსახლეობასთან, ისე - თვისებრივი მეთოდები დამსვენებლებთან, ტურისტულ და მომიჯნავე ბიზნესში ჩართულ მხარეებთან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელ პირებთან). რაოდეონობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირი ინტერვიუები, სულ 80 ინტერვიუ. ადგილობრივი მოსახლეობა გამოიკითხა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულიდან. პირისპირი ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ მომზადებული სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევის თვისებრივ მეთოდად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუ, რათა დადგენილიყო, თუ რა მოტივით სტუმრობენ ისინი აღნიშნულ კურორტს. კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო კურორტის წარსულის შესწავლა (დადგენა თუ რა როლი ჰქონდა მას საბჭოთა პერიოდში და რა ნიშას იკავებდა იგი იმ დროს) უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივიდან განხორციელდა საარქივო დოკუმენტების ანალიზი: ოქმები, ანგარიშები, განკარგულებები, ბრძანებები. გამოყენებულია მასალები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (ეს მასალა ასახულია ავტორის მიერ შედგენილ რუკებში), საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურიდან და ეროვნული ბიბლიოთეკიდან. განხორციელდა 7 ექსპერტული ინტერვიუ.

თეორიული ჩარჩო. კვლევის ანალიზში განხილულია ის გავრცელებული თეორია, რომელიც ესადაგება საკვლევ თემასა და მის შედეგებს. ასეთია მდგრადი განვითარების თეორია. მსოფლიოში ტურიზმის სექტორი ძალიან სწრაფად იზრდება. გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 1950 წლისთვის მხოლოდ 25 მილიონი საერთაშორისო ტურისტი არსებობდა. 68 წლის შემდეგ ეს რიცხვი გაიზარდა 1.4 მილიარდ საერთაშორისო მოგზაურობამდე წელიწადში *(Roser, 2019)*. სწორედ ასეთმა ზრდამ განაპირობა ტურიზმის მდგრადობის აუცილებლობა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წაღვერი საბჭოთა კავშირის პერიოდში იყო ცნობილი კურორტი, რომელმაც გვიანი პოსტსოციალისზმის პერიოდში საქართველოში მზარდ ტურისტულ ბუმს ფეხი ვერ აუწყო. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ადგილის პოტენციალის, ადგილზე არსებული როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური და ინფრასტრუქტურული რესურსების კვლევა. წაღვერის მაგალითზე შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რატომ ვერ შეინარჩუნა პოპულარობა ზოგიერთმა საბჭოთა კურორტმა თანამედროვე ეკონომიკის პირობებში. კვლევას აქვს არამხოლოდ სამეცნიერო ღირებულება, არამედ იგი მნიშვნელოვანია თავისი მეთოდოლოგიის გამოც. ეს პირველი ტრანსდისციპლინური კვლევაა კავკასიის რეგიონში. ნაშრომში არსებული სტატისტიკური, თეორიული თუ გრაფიკული მასალები დაეხმარება ტურიზმის საკითხით დაინტერესებულ ყველა ადამიანს. იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ეხება არამხოლოდ წაღვერს, არამედ ეხმიანება ყველა საბჭოთა კავშირში პოპულარულ კურორტს, რომელიც დღეს მივიწყებულია.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

პირველ თავში ლიტერატურის მიმოხილვასთან ერთად განმარტებულია ნაშრომში გამოყენებული ტერმინები და ცნებები. განხილულია კურორტის განვითარება საბჭოთა პერიოდიდან დღემდე. აღწერილია წაღვერი და მასში შემავალი ერთეულები თავისი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებით.

მეორე თავში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია, კურორტზე არსებული პრობლემები და ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგები, ასევე SWOT და PESTEL ანალიზი.

მესამე თავში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები და კურორტის განვითარების მიმართულებები. ამავე თავშია ნაშრომის დასკვნა. მას თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართები.

ნაშრომის წერისას გაწეული დახმარებისთვის ავტორი მადლობას უხდის ქალბატონ თეონა მატარაძეს, ქალბატონ ია იაშვილს, ბატონ ვოვა ჩხაიძეს, გამოკითხულ ექსპერტებსა (ნიკო კვარაცხელია, მერაბ ხოხობაია, იოსებ ხელაშვილი, ვაჟა გელაშვილი, გიგი ყუფარაძე, ნიკა წითელაშვილი, თამარ ხოშტარია) და ტრანსდისციპლინურ კვლევაში მონაწილე ყველა ჩართულ პირს.

თავი I. კურორტ წაღვერის განვითარება საბჭოთა პერიოდიდან დღემდე

1.1 ლიტერატურისა და ცნებების მიმოხილვა

ტრანსდისციპლინური კვლევა. შესასწავლი კურორტის ტურისტული განვითარების გამოწვევები კომპლექსური და მრავალმხრივია. მათ გადასაწყვეტად ცოდნის სხვადასხვა აკადემიური სფეროებია საჭირო. ტრანსდისციპლინურობა გულისხმობს საკითხის სხვადასხვა მიმართულებით კვლევას და სცდება ინტერდისციპლინური კვლევის ფარგლებს, იმისთვის, რომ სამეცნიერო და ემპირიული ცოდნა მთლიანად კვლევის პროცესზე წარმართოს და დაიწყოს პრობლემების ერთობლივი იდენტიფიკაცია. იგი ახდენს სამეცნიერო და ემპირიული ცოდნის პრაქტიკულ ცოდნასთან ინტეგრაციას - „მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად“ არააკადემიური აქტორების - სთეიქჰოლდერების, დიალოგზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული კვლევის მთავარი ღირებულება ისაა, რომ აკადემიური სფერო (მეცნიერება) თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან, რათა კვლევის პროცესი მაქსიმალურად ნაყოფიერი იყოს ყველა მხარისთვის და შედეგები არ დარჩეს მხოლოდ თეორიულ მასალად *(Pohl, C., Hirsch Hadorn, G., 2007)*.

მდგრადი განვითარება გულისხმობს კაცობრიობის წინსვლისა და დაწინაურების ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების კეთილდღეობას ეკონომიკური განვითარებისა და გარემოსდაცვის ინტერესებთან ერთად. მდგრადი განვითარების პროცესში ცხოვრების დონის ხარისხი იზრდება, თუმცა მომავალ თაობებს არ ეზღუდებათ უფლება, რომ ისარგებლონ რაოდენობრივი და ცვლილებებისაგან დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი *(Бобылев, С., Гирусов Э,. Перелет Р., 2004)*.

ბალნეოლოგია (<ლათ. balneum -აბანო, ბანაობა და ...ლოგია) მედიცინის ეს დარგი, შეისწავლის მინერალური წყლების წარმოშობას, მათ ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს,

სამედიცინო ჩვენებებსა და უკუჩვენებებს. ბალნეოთერაპია (<ლათ. Balneum- აბანო, ბანაობა და თერაპია) არის მინერალური წყლის აბაზანებით მკურნალობა *(ბერძენიშვილი, 1977, გვ. 176).*

კურორტი (გერმ. Kurort, სიტყვასიტყვით - სამკურნალო ადგილი) ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების (მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი თვისებების მქონე ჰავა) მქონე ისეთი ადგილი, რომელსაც აქვს აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოსაყენებლად *(ნოდია, 1983, გვ. 82).*

ბალნეოკურორტები - ასეთი კურორტები მინერალური წყლის გამოყენების მიხედვით 2 ტიპისაა: სასმელი წყლისა და აბაზანებით მკურნალობის. თუ კურორტზე ერთდროულად რამდენიმე ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი არსებობსის, მაშინ ის შერეული პროფილისაა. მაგალითად, კლიმატო-ბალნეოლოგიური, ბალნეო-ტალახის, კლიმ-ბალნეო-ტალახის და სხვა *(ბერძენიშვილი, 1977, გვ. 176).*

კლიმატური კურორტები - მათი ძირითადი სამკურნალო ფაქტორია კლიმატი (კლიმატოთერაპია) და ლანდშაფტის თავისებურებანი. მათ იყენებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის ორგანოთა ქრონიკული დაავადებების, ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობის და სხვათა სამკურნალოდ. გარდა მკურნალობისა კურორტს დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადებათა პროფილაქტიკისა და ორგანიზმის საერთო გაკაჟებისთვის, დიდია მისი მნიშვნელობა ბავშვთა ასაკში *(ნოდია, 1983).*

1.2 კურორტ წაღვერის ზოგადი აღწერა

მთელი საქართველო თავისი გეოგრაფიული და სხვა ბუნებრივი მდგომარეობით წარმოადგენს კურორტს. აქ დიდი რაოდენობით სხვადასხვა მინერალური სამკურნალო წყლებია აღნუსხული. თუ საქართველოს ტერიტორიის სივრცეს გავითვალისწინებთ აქაური რეკრეაციული რესურსები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს *(თოდრია, 1928).*

ბორჯომის მხარე თავისი ბუნებით საქართველოს სხვა კუთხეებს თითქოს მოწყვეტილია. იგი მოქცეულია მდინარე მტკვრისა და მისი ტოტების აუზში. შედეგად, ბორჯომი და მისი მიდამოები ეკონომიკურად, ტერიტორიულად, კლიმატურად საქართველოს არც ერთ კუთხეს არ ჰგავს. ეს მხარე უმთავრესად კურორტებისაა და დასასვენებელი ადგილებითაა მოფენილი. ცნობილია თავისი საუცხოო ჰაერითა და მინერალური წყლებით. სწორედ ამიტომ მას ყოველწლიურად ზაფხულობით ათი ათასობით დამსვენებელი სტუმრობდა *(თოდრია, 1928).*

ბორჯომ-ბაკურიანის რეკრეაციული რაიონის კურორტები და საკურორტო ადგილები მდებარეობს ზღვის დონიდან 790-2000 მ სიმაღლის ფარგლებში. ისინი ეკუთვნის დაბალი მთის (500-1000მ) საშუალო მთის ქვედა სარტყლისა (1000-1500 მ) და საშუალო მთის ზედა სარტყლის (1500-2000მ) საკურორტო ზონებს *(კაიშაური & შავიშვილი, 2015).* ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტები საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული რაიონებიდან ერთ-ერთია, რომლებსაც მდიდარი კლიმატო-ბალნეოლოგიური რესურსული პოტენციალი და განვითარების დიდი პერსპექტივები გააჩნია, აქ აღრიცხულ მრავალ კურორტსა და საკურორტო ადგილს შორის უმეტესობა კლიმატური პროფილისაა *(ნოდია, 1976).*

სწორედ ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტებისა და საკურორტე ადგილების თითქმის შუაგულში, რაიონული ცენტრიდან - ქ. ბორჯომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კმ-ის მანძილზე მდებარეობს კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი, დაბა წაღვერი. ის განთავსებულია თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდინარე გუჯარეთისწყლისა (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) და ბაკურიანის შერთვის ადგილას, ზ. დ. 1020-1050მ სიმაღლეზე *(ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014).*

კურორტის ირგვლივ მდებარეობს წიწვოვანი ტყეებით (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) დაფარული მთის ფერდობები. წაღვერი საშუალო მთის ქვედა სარტყლის კურორტია ისევე, როგორც ცემი, ტბა, პატარა ცემი. კურორტის უნიკალურობას განაპირობებს მისი სამკურნალო თვისებები: წიწვოვანი ტყის არომატი, ძლიერი ქარების სიმცირე, ტემპერატურის მცირე მერყეობა, ზომიერი საშუალო წლიური ნალექი, მთის ჰავა და მინერალური წყაროები

(წავიდეთ წაღვერში, 2013). კლიმატური პირობებით იგი ძალიან ჰგავს მსოფლიოში ცნობილ ავსტრიისა და შვეიცარიის კურორტებს (დავოსი, აროზა, ზაალფელდენი და სხვ.) *(ხოშტარია, 2019).*

წაღვერის კლიმატი გარდამავალია დაბლობისა და მაღალი მთის კლიმატებს შორის. მას არ ახასიათებს ველის, უდაბნოსა და მაღალმთიანი კურორტებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა. იგი შუამთის ტიპისაა (ქვედა სარტყელი), ნოტიო სუსტად კონტინენტური. ასეთი ჰავა იცავს ადამიანის ორგანიზმს მეტეოროლოგიური ფაქტორების მკვეთრი გავლენისაგან, რის გამოც მას დამზოგველ კლიმატსაც უწოდებენ. ამიტომ წაღვერი ძირითადად საბავშვო კურორტია. ზამთარი ზომიერად რბილი, ცივი, ხანგრძლივი და საკმაოდ თოვლიანია. მდგრადი თოვლის საფარი არსებობს თითქმის 3-4 თვე. წაღვერი თოვლით დეკემბრის ბოლოს იფარება, თოვლის საფარი მაქსიმუმს თებერვალში აღწევს და საშუალოდ მარტამდე გასტანს. ჩვეულებრივ თოვლის საფარის სიმძლავრე დიდი არ არის და იანვარ-თებერვალში საშუალოდ 8-18 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. იანვრის საშუალო ტემპერატურაა (-3,5%C), ამ პერიოდში დასვენებას უფრო საერთო გამაჯანსაღებელი და ტონუსის ამწევი ეფექტი აქვს *(წავიდეთ წაღვერში, 2013).* ზაფხული ზომიერად თბილი და მშრალი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურააა +18,3%C). ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 600-900 მმ-ია, რომლის მაქსიმუმი მოდის გაზაფხულ-ზაფხულზე (მაის-ივნისზე). წლის დანარჩენ პერიოდში ნალექები შედარებით თანაბრადაა განაწილებული. ჰაერის წლიური საშუალო ფარდობითი ტენიანობა უახლოვდება 77%-ს. მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა წელიწადში 2000 საათს აღწევს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. საკურორტო ზონის ჰავა ხასიათდება მაღალი თერაპიული თვისებებით და მისი გამოყენება პერსპექტიულია ძირითადად სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა სამკურნალოდ: ჰაერი სუფთა და გამჭვირვალეა, გაჟღენთილია წიწვის არომატით *(კაიშაური & შავიშვილი, 2015).*

ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორებია: ქვედა სარტყლის ჰავა, რომელიც საშუალო მთისთვისაა დამახასიათებელი და ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული მაგნიუმიან-

კალციუმ-ნატრიუმის შემცველობის მინერალური წყლები (რკინის შემცველობა 45მგ/დმ^3). წყლის ბალნეოლოგიური ფორმულაა: CO_2 1,3 Fe 0,027 M 4,5 $\frac{HCO3\ 86}{Na\ 55\ Ca\ 31}$. საერთო მინერალიზაციია 3-5 გ/დმ^3. იყენებენ სამკუნალოდ და სალევად. შუამთის ტიპის კლიმატი და მინერალური წყლები დადებითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე *(ნოდია, 1976).*

წაღვერის სამკურნალო წყლის შესახებ თავის ნაშრომში პროფესორი რადზიევსკი წერდა, რომ, ამ წყალს ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს და მსოფლიოში - მეორე. იგი უხდება მრავალგვარ ავადმყოფობას. თავის 1895 წლის აღწერილობაში ბევრ სხვა ქებასაც წერს ამ წყლის შესახებ კიდევ ერთი პროფესორი კოვალევსკი *(გოგავა, 1898).*

წაღვერის მინერალური წყლის სისტემატური მიღება აძლიერებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. გამოიყენება სასუნთქი სისტემის ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებებისთვის, ბრონქებისა და ფილტვების ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ თუ პროფილაქტიკისთვის. შუამთის კლიმატი ორგანიზმს ჟანგბადით ამდიდრებს და ზრდის სისხლში ჰემოგლობინის შემცველობას. იგი უხდება ანემიას (განსაკუთრებით – ჰიპოქრომული), სისხლნაკლებობის ზოგიერთ ფორმას (მეორეული სისხლნაკლებობა), მალარიას. ხელს უწყობს ალერგიული დაავადებების მწვავე პერიოდის შემდგომ ორგანიზმის სწრაფ გაჯანმრთელებას. ამავე დროს აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რაც მკვეთრად ამცირებს ავადობის სიხშირეს, განსაკუთრებით ბავშვებში. მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს წაღვერის მინერალური წყლის შემადგენლობაში შემავალი აქტიური რკინა. წაღვერის მინერალური წყალი უმეტეს შემთხვევაში აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას, ამაღლებს წვენის მჟავიანობას. იგი დადებითად მოქმედებს კუჭის ევაკუაციურ ფუნქციაზე, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი სნეულების, პოდაგრის, სხივური დაავადების, მოწამვლების მკურნალობას *(ნოდია, 1976).*

წაღვერის წყალი ბორჯომის ტიპის სასმელ მინერალურ წყლებს განეკუთვნება. ხელს უწყობს ოპერაციების შემდგომ პერიოდში ორგანიზმის რეაბილიტაციას. სხვადასხვა

დაავადების დროს წყლის მიღების წესები და დოზირება სხვადასხვანაირია. იგი უმთავრესად დასალევად გამოიყენება. ვინაიდან წაღვერი საშუალო მთის კურორტია, აქ ასევე იგზავნებიან ისეთი ავადმყოფები, რომლებიც კარდიოვასკულარული და ნერვული სისტემის, აგრეთვე ორგანიზმის საერთო მდგომარეობის გამო, მაღალი მთის კლიმატურ კურორტებს ვერ იტანენ *(ნოდია, 1976)*.

მკურნალობის სახეობებია პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია, აეროთერაპია და მინერალური წყლის მიღება. თითოეულ მათგანს უნდა განსაზღვრავდეს სპეციალისტი. დასვენების პირველ დღეებში ორგანიზმისთვის მიზანშეწონილია დამზოგველი რეჟიმი. ჰაერისა და მზის აბაზანების მიღების დრო დილის 9 საათიდან 12 საათამდეა განსაზღვრული, პროცედურის ხანგრძლივობა 10-20 წთ. დამოკიდებულია ასაკზე და ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე *(კაიშაური & შავიშვილი, 2015)*.

კურორტზე დასვენება წლის ნებისმიერ დროს შეიძლება. გამაჯანსაღებელი სეზონი წაღვერში იწყება მაისის თვიდან, რადგან მაის-ივნისში ყვავილობს ფიჭვის გირჩი და მის მტვერს სამკურნალო თვისებების გამო აგროვებენ და მიირთმევენ თაფლთან ერთად. სეზონი გრძელდება სექტემბრის ბოლომდე. ზამთარში იანვარ-თებერვალის თვეები გამოირჩევა სამკურნალო ფაქტორების დადებითი ზეგავლენით *(გელაშვილი, 2019)*.

წაღვერს ახასიათებს მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა. აქ გავრცელებულია ფრინველთა 70-მდე, თევზების 10-ზე მეტი, რეპტილიების – 9, ამფიბიების – 5 სახეობა. ეს ფაქტი საინტერესოა ე.წ. ფრინველებზე დაკვირვებისა და სამონადირეო ტურიზმის განვითარების მიმართულებით *(ელიზბარაშვილი, 2018)*.

წაღვერზე გადის ბორჯომ-ახალქალაქი-ბაკურიანის სარკინიგზო და საავტომობილო გზები, რომლებითაც იგი აკავშირებს რეგიონის ორ მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტს: ბორჯომსა და ბაკურიანს. ცენტრის სიმაღლე ზ. დ. 1030 მ-ია. თემის შემადგენლობაში შედის შემდეგი ერთეულები: სოფლები - დაბა, ტიმოთესუბანი, მზეთამზე. ასევე წაღვერის შემადგენლობაში მოიაზრება კეჩხობი და ცემი. მოსახლეობა შეადგენს 799 ადამიანს.

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014). როგორც ზოგადად საქართველოში, ისე წაღვერშიც შეინიშნება მოსახლეობის დეპოპულაციის მნიშვნელოვანი ტენდენციები. კერძოდ, 1989 წლის აღწერის მიხედვით, დაბის მოსახლეობა 1167 იყო. 2002 წელს წაღვერის მოსახლეობა 116 კაცით შემცირდადა 1051 შეადგინა, ხოლო უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობა შემცირებულია თითქმის 32%-ით (1989 წლის მონაცემთან შედარებით) და 799 კაცს შეადგენს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველია (90%), მეორე ადგილს იკავებენ სომხები (8%), ოსები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს, ხოლო რუსები - 0,75%. მოსახლეობა ძირითადად მართლმადიდებელია *(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2003).* (*წაღვერსა და მასში შემავალ ერთეულებში მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილების სანახავად იხილეთ დანართში ცხრილი #2).*

1.3 წაღვერი საბჭოთა პერიოდში

ისტორიული ცნობების თანახმად, წაღვერის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა მოსახლეობა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ აქ ძლიერ წვიმას მთის კალთაზე მდებარე სოფელი წაულეკავს. გადარჩენილები მთის ძირას, დაბაში გადასახლდნენ. ამ ადგილს კი წაღვერი „წარღვნა დაგვატყდაო“ დაარქვეს *(წავიდეთ წაღვერში, 2013).* ვახუშტისთან ფიგურირებს „წაღველი“. ფიქრობენ, რომ ეს ისეთივე ტოპონიმი უნდა იყოს, როგორც წაღვლი (შიდა ქართლი). მათი პირველსახე წიაღველია, რაც ნიშნავს იქითა ანუ გაღმა მდებარე ველს *(მაისურაძე, 1978).*

თურქების გაბატონების შემდეგ მესხეთ-ჯავახეთი დაიცალა და მისი აღორძინება მე-19 საუკუნიდან იწყება. წაღვერის საკურორტო მნიშვნელობის შესახებ კავკასიის სამედიცინო საზოგადოებას 1867 წელს მოახსენა ბორჯომის მამულის ექიმმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა რემერტმა. აქედან იწყება წაღვერის, როგორც კურორტის განვითარება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ მურვანიშვილს, იმ პერიოდში წაღვერის სატყეოს უფროსს. 1913 წელს მას მოუწვევია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებიდან არქეოლოგები წაღვერში გათხრების

ჩასატარებლად. უზნარიანის ციხის მიდამოებში ნაპოვნი იქნა ნივთები გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული თამარის ეპოქით დამთავრებული. მურვანიშვილმა აღმოაჩინა და მოაწყო მჟავე წყლის ახალი წყაროები, ააშენა ტყე-პარკი დამსვენებლებისთვის. მისი თაოსნობით წაღვერში გამოყვეს საუკეთესო კუთხე - კეჩხობი *(წაღვერი, 2013).*

საკურორტო ქსელის ფართო მშენებლობას სრკ-ში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. საქართველოში 1921 წლის 20 მაისის რევკომის #37-ე დეკრეტით რესპუბლიკის ყველა სამკურნალო ადგილი და კურორტი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა (ასე მოხდა წაღვერის შემთხვევაშიც, სადაც ძირითადად კერძო აგარაკები იყო). გეგმიური საკურორტო მშენებლობა 1921 წლიდან სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრასთან ბალნეოლოგიური განყოფილების გახსნით დაიწყო *(ყუფარაძე, 2018).* ერთმანეთთან ახლომდებარე კურორტები საკურორტო რაიონებისა და კურორტების ჯგუფების სახელით გაერთიანდა, მაგალითად, ბორჯომის კურორტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა წაღვერი.

მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პერიოდებში, საქართველო ყველაზე წარმატებული საკურორტო ქვეყანა იყო, ამ იმპერიების შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებთან შედარებით. კავკასია და კერძოდ საქართველო მიიჩნეოდა საუკეთესო ტურისტულ რესპუბლიკად. აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოილტვოდნენ ტურისტები. სტატისტიკის სამსახურის 1988 წლის მონაცემებით, საქართველოში 152 ათასი საწოლი ადგილი იყო. მათგან 103 ათასი განთავსებული იყო სანატორიუმებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში, ხოლო 49 ათასი - სასტუმროებში, ტურბაზებსა და ტურიზმის სხვა განთავსების საშუალებებში. 1988 წელს საქართველოში 4,5 მილიონი ტურისტი შემოვიდა *(ყუფარაძე, 2018).*

საქართველოს საკურორტო საქმეების მოსაგვარებლად და საერთაშორისო კურორტის სახელის მოსაპოვებლად უმაღლესმა მთავრობამ საბჭოთა პერიოდში განათლების კომისარიატთან შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაცია საკურორტო სამმართველო, რომლის მოვალეობა იყო არსებული კურორტების (მათ შორის წაღვერის) მდგომარეობის

გაუმჯობესება, სამკურნალო წყლების ექსპლოატაცია, ახალი კურორტების მოწყობის და სამკურნალო მინერალური წყლების აღმოჩენის ხელშეწყობა *(თოდრია, 1928).*

1926 წელს წაღვერმა მიიღო დაბის სტატუსი. მინერალური წყლების მაღალი ბალნეოთერაპიული ღირსების გამო, საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს მიერ აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები, რომელთა შედეგად 6 მინერალური წყაროს (მათ შორის 5 ბურღილის) დებიტი 10 ათასიდან-დან 70 ათას ლიტრამდე გაიზარდა დღე-ღამეში *(კეპულაძე, 1977).*

მე-20 საუკუნის დასაწყისში დაბა წაღვერი უკვე იმდენად პოპულარული იყო, რომ მას პატარა ბორჯომს ეძახდნენ *(წაღვერი, 2013).* მისი, როგორც ბალნეო-კურორტის ფორმირება პრაქტიკულად ბორჯომის პარალელურად ხდებოდა. აქ აგარაკები ჰქონდათ მარიჯანს (მარიამ ტყემალაძეს), ზაქარია ფალიაშვილს (წაღვერშია დაწერილი ოპერა „დაისი"), მიტროფანე ლაღიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, იოსებ გრიშაშვილს, და სხვებს. ზოგი მათგანი დღემდეა შემონახული. კურორტ წაღვერს სტუმრობდნენ ასევე ელისაბედ ჩერქეზიშვილი, პაოლო იაშვილი და სხვები *(ხოშტარია, 2019).*

1980-იან წლებში, წაღვერში არსებობდა დასასვენებელი სახლები, სადაც ერთდროულად 550 კაცი ისვენებდა. აქვე იყო პიონერთა ბანაკები და კურორტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო დაწესებულება. გენერალური გეგმით წაღვერში აშენდა ბავშვთა სანატორიუმი და სხვა ჯანმრთელობის კერები, რაც გარკვეული წინაპირობა იყო მისი მთელი წლის მანძილზე მუშაობისთვის *(კეპულაძე, 1977).*

საბჭოთა წლებში კურორტი ძირითადად გამოყენებული იყო მხოლოდ წლის თბილ პერიოდში. თუმცა ბუნებრივი თვალსაზრისით აქ ყველა პირობაა მისი მთელი წლის განმავლობაში დატვირთვისთვის *(ნიორაძე, 1987).* წაღვერის ჰავის თავისებურება ბალნეოთერაპიასთან შეხამებით დადებითად მოქმედებდა ბავშვთა ორგანიზმზე; ბავშვები იმატებდნენ წონაში და შედეგად მთელი ზამთრის განმავლობაში კარგად გრძნობდნენ თავს.

წაღვერის გამორჩეული ღირსშესანიშნაობები

წაღვერიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, მდინარე თორისწყლის (ამჟამად გუჯარეთისწყალი) მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ტიმოთესუბანში, ხუროთმოძღვრების აღსანიშნავი ძეგლი - ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი მდებარეობს, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ძველი მონასტრის ნანგრევებზე ააგო შალვა ახალციხელმა. წმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი ნაგებია მოვარდისფრო „ქართული აგურით“. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატულია. იგი თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ძეგლების რიცხვშია. ისტორიული წყაროების მიხედვით, ტაძარი გიორგი ბრწყინვალეს დავალებით აიგო. ტაძრისკენ მიმავალ გზაზეა ე.წ. “ცისკარას“ მთები. “ცისკარა“ - ძველი ქართული ფილმი სწორედ აქ გადაუღიათ. იმიტომაც მოსახლეობამ ეს სახელი დატოვა, ხოლო ისტორიული დასახელება უცნობია *(გოგბერაშვილი, 2017).*

ეიფელის ხიდი

მასზე გავლა ე.წ. “კუკუშკითაა“ შესაძლებელი. იგი ბორჯომ-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიან რკინიგზაზეა აგებული. მიხეილ რომანოვმა ხიდი საფრანგეთში შეუკვეთა “ეიფელის კოშკის” ავტორს, ფრანგ ინჟინერ-კონსტრუქტორს, ალექსანდრე გუსტავ ეიფელს. მისი მშენებლობა მდინარე ცემისწყალზე 1897 წელს დაიწყო *(ეიფელის ხიდი, 2019).* ხიდი დაამონტაჟა კონსტრუქტორმა ბესარიონ ქებურიამ. 1902 წელს საგანგებოდ ინგლისიდან ჩამოიყვანეს პირველი „პორტერის“ ტიპის ,,კუკუშკა” ორთქლმავალი, რომელმაც იანვარში პირველად გაიარა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზით ბორჯომი – ბაკურიანი. 1967 წლიდან პატარა ორთქლმავალი ელექტრომატარებელმა შეცვალა და იგი დღემდე ემსახურება სათხილამურო სპორტის ყველა მოყვარულსა და ტურისტებს *(ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014).*

არჯევანიძის ტყე

ამ ადგილიდან მთელი წაღვერი თითქოს ხელის გულზე მოჩანს და იგი მზეთამზესაც გადასცქერის. ტყე პედაგოგ არჯევანიძის სახელს ატარებს. ამ საზოგადო მოღვაწემ, ფიჭვნარის ტყეში 1910 წელს ბავშვებისთვის დააარსა პირველი საზაფხულო დასასვენებელი სკოლა. არჯევანიძე წაღვერში დასასვენებლად ჩამოდიოდა. მას მოეწონა კურორტი და თავისი თანხებით ააგო სკოლა-სანატორიუმი. ამბობენ, რომ ამ სანატორიუმის ასაგებად მან დაანგრია თავისი საკუთარი სახლი ხარაგაულში და ამოიტანა ამ ტყეში. წაღვერში არსებული აგარაკების უმრავლესობა სწორედ არჯევანიძის ტყეში მდებარეობს *(აბაშიძე, 2010).* რუსეთ-საქართველოს ომის დროს ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანძარმა იმსხვერპლა. თავად კურორტი განადგურებას გადაურჩა.

მნიშვნელოვანი სანახაობაა მინერალური წყლის ჭაბურღილები, რომლებიც ტყეში ღრმად მდებარეობს. მათ ორივეს (სახელებია: ბუყბუყა და ჩანჩქერი) ერთად მონახულებას 40 წუთი სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანი ადგილებია: მთა გვირგვინა, მთა თორტიზა, უზნარიანის ციხე, დაბის წმინდა გიორგის ეკლესია.

1.4 წაღვერში შემავალი ერთეულების აღწერა

ბორჯომ-ბაკურიანის რაიონის საკურორტო ზონაში სხვადასხვა სიმაღლის მთის კლიმატური სადგურები შედის. დაწყებული 750 მ-დან, დამთავრებული 2000მ-ით ზღვის დონიდან. ამ კომპლექსის ტერიტორია ალპურ ზონაში გადადის და მთავრდება ცხრაწყაროს მთის მწვერვალით (2680მ), რომელიც მოგზაურთა და ექსკურსანტთა საყვარელი ადგილია *(ნოდია, 1976).*

რაიონის საკურორტო-სამკურნალო ადგილებს შორის აღსანიშნავია: დაბა, დიდი ცემი, ტბა, პატარა ცემი, მზეთამზე, ტიმოთესუბანი და სხვ. აქ იღებს სათავეს ძვირფასი სამკურნალო წყლები: ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი ესენტუკის ტიპის (ტიმოთესუბანი) და ნახშირჟავა-რკინიან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი (წაღვერი, ტბა). სათანადო ათვისების პირობებში აღნიშნული სამკურნალო ადგილები

შეიძლება გამოვიყენოთ ყველა იმ დაავადების სამკურნალოდ, რომელსაც საკურორტო ჩვენება აქვს *(ნოდია, 1976).*

ვინაიდან წაღვერის შემადგენლობაშია ისეთი ერთეულები, როგორებიცაა: სოფ. დაბა, სოფ. ტიმოთესუბანი, სოფ. მზეთამზე, ცემი და კეჩხობი, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე წაღვერის პოტენციალის შესახებ ერთიანი სურათის შესაქმნელად, აუცილებელია ზემოთ აღნიშნული ერთეულების მიმოხილვაც.

კეჩხობი - საოჯახო დასვენების პანსიონატი, მდებარეობს დაბა წაღვერში, ბორჯომიდან დაახლოებით 15 კილომეტრის მანძილზე. წაღვერის რკინიგზის სადგურიდან სამანქანო გზით იგი დაცილებულია 800 მეტრით, საცალფეხო გზით 300 მეტრით. პანსიონატის მთავარ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ფაქტორად ითვლებოდა სამთო-კლიმატური მშრალი ჰაერი, გაჟღენთილი ფოთლოვან-წიწვოვანი ტყეების სურნელით, მზის ნათების მაღალი ხანგრძლივობის მქონე კლიმატი და რკინისშემცველი მინერალური წყლების არსებობა. პანსიონატის 11 ფინური კორპუსი და ცალკეული საოჯახო აგარაკები შემოფარგლული იყო წიწვიანი ტყითა და მზის ნათების მაღალი ხარისხით, რითაც იქმნებოდა ჯანმრთელი კლიმატური ჰავა. 1972 წლისთვის პანსიონატი გათვალისწინებული იყო 400 საწოლზე. აქედან ფინურ კორპუსებში 260 საწოლი და ცალკეულ აგარაკებზე 140 საწოლი *(ბერიშვილი, 1972).* კეჩხობში არსებობდა მუშათა დასასვენებელი სახლები. პანსიონატს ცალკე აგარაკზე მოწყობილი ჰქონდა ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და ფოსტა. ტერიტორიაზე მოთავსებული იყო სამრეწველო მაღაზია და კაფე, რომლებიც შეუფერხებლად ემსახურებოდა დამსვენებელთა მრავალრიცხოვან კონტინგენტს.

1972 წლისთვის პანსიონატში საშტატო განრიგით იყო 111 თანამშრომელი, მუშაობა სეზონური, პანსიონატი იხსნებოდა 20 მაისს და იხურება 20 ოქტომბერს. მოქმედების ვადა იყო 5 თვე. 1982 წელს კეჩხობში დამსვენებელთა ყველაზე მეტი რაოდენობა - 6 ათასზე მეტი დამსვენებელი დაფიქსირდა. მათგან აფხაზეთიდან - ხუთასზე მეტი მუშა-მოსამსახურე, კოლმეურნე, ომისა და შრომის ვეტერანი პენსიონერი *(ბერიშვილი, 1972).*

დასვენების პერიოდი განისაზღვრებოდა 18 დღით. პანსიონატში ყოველწლიურად ტარდებოდა მთელი რიგი სამუშაოები. დამსვენებლებს ატარებდნენ რეგისტრაციაში, მათ ამოწმებდა ექიმი და ისინი ნაწილდებოდნენ აგარაკებზე. პანსიონატის კუთვნილებაში იყო კეთილმოწყობილი სპორტული და საცეკვაო მოედანი, სადაც დამსვენებელთა ფართო მონაწილეობით ტარდებოდა სპორტული და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები ხელბურთში, ჭადრაკსა და სხვ. ღონისძიებები იგეგმებოდა კულტ-ორგანიზატორი პირის მიერ სამედიცინო პერსონალთან შეთანხმებით. სეზონის გახსნასთან ერთად ფუნქციონირებას იწყებდა სავაჭრო და მომსახურების ობიექტები და რაიონული დაწესებულებების ფილიალები: კავშირგაბმულობის განყოფილება, სილამაზის სალონები, ფეხსაცმლის შესაკეთებელი დაწესებულებები, სახელოსნოები, ფოტოკაბინეტი, სავაჭრო კიოსკები, კაფე-ბარები და სხვ.

პანსიონატში ორგანიზებული იყო: საშხაპეები, შესანახი კამერები, კუთხეები რეცხვისა და თეთრეულის დაუთოებისთვის, ჰიგიენური ოთახები და სხვ. კეჩხობში პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ სამუშაოს ატარებდა ერთი ექიმი და 4 ექთანი.

სამედიცინო პუნქტებში პანსიონატი აწარმოებდა ამბულატორიულ მიღებას, დამსვენებლებს უტარებდნენ პირველად და გადაუდებელ დახმარებას, მიმდინარეობდა ანტროპომეტრიული დაკვირვებები. ერთდროულად პანსიონატის სამედიცინოპერსონალი სისტემატურად აწარმოებდა საკვები ბლოკების, საძილე კორპუსების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლს.

კეჩხობში დამსვენებლები შვილებთან ერთად ძირითადად ჩამოდიოდნენ ოჯახური საგზურებით. წესისამებრ, ბავშვებს ჩამოსვლის დღეს ამოწმებდა ექიმი პედიატრი და მათზე მიმდინარეობდა სამედიცინო დაკვირვებები.

ექიმის დანიშნულების მიხედვით, რეკომენდებული იყო საკვების მიღების შემდეგ რკინის შემცველი თბილი მინერალური წყლების მიღება 20-30-50 მლ. ერთ მიღებაზე, 2-3 ჯერ დღეში. რის შედეგადაც სრულდებოდა 18 დღიანი დასვენება *(ბერიშვილი, 1972).*

1972 წლის 2 აგვისტოს განხორციელდა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი „კეჩხობის“ პანსიონატის ძირითადი კორპუსი 216 ადგილით, ორკაციანი პალატებით, ღია ვერანდებით, ცენტრალური გათბობითა და სრულყოფილი სველი წერტილებით. ამ პერიოდიდან შეიქმნა პირობები პანსიონატის მთელი წლის განმავლობაში ფუქციონირებისთვის *(ბერიშვილი, 1972).*

დღეს კეჩხობის სანატორიუმში მცირე დატვირთვით ფუნქციონირებს 2 კორპუსი. სეზონი აქ მაის-ივნისიდან იწყება ხოლმე.

დაბა - ბორჯომიდან ბაკურიანისკენ განლაგებულია მთის კლიმატური კურორტები და საკურორტე ადგილები, მათ შორის ბორჯომთან ყველაზე ახლოსაა სააგარაკო ადგილი დაბა, თანამოსახელე რკინიგზის სადგურით. გზა გადის მთების ფერდობებით დახურულ და მარადმწვანე წიწვიანი ტყით დაფარულ ხეობაში. რკინიგზის სადგურიდან მარჯვნივ, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიემართება-დაბის მონასტერთან, რომელიც ყურადღებას იმსახურებს ფრესკებითა და წარწერებით. იგი მიეკუთვნება მე-13 საუკუნეს *(ნოდია, 1976).*

აღნიშნული საკურორტე ადგილი მდებარეობს ზ. დ. 806 მ. სიმაღლეზე. მისი სამედიცინო პროფილია: პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური და პულმონოლოგიური. დაბის კლიმატური პირობები, ულამაზესი ლანდშაფტი და მდიდარი წიწვიანი მცენარეები ხელს უწყობს რიგი დაავადებებით (გულსისხლძარღვთა, მეორადი ანემია, ლიმფადენიტი, სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადება, ნერვიული სისტემები) დასნებოვნებულთა დასვენებასა და მკურნალობას (განსაკუთრებით წელიწადის თბილ პერიოდში) *(ნოდია, 1976).*

ტიმოთესუბანი არის სოფელი, მთის საკურორტე ადგილი. მდებარეობს წაღვერის რკინიგზის სადგურიდან 2-3 კმ დაშორებით, მდინარე გუჯარეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მისი ზემოთა მიმართულებით, ზღვის დონიდან 1120მ სიმაღლეზე. რელიეფი მთაგორიანია. საშუალო მთის ქვედა სარტყელის კლიმატი. ზამთარი ცივია, ზაფხული ზომიერად მშრალი და ზომიერად თბილი. მცენარეულობა წარმოდგენილია წიწვოვანი (ფიჭვი, ნაძვი) ტყეებით. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია, საშუალო მთის ქვედა

სარტყლის ჰავა და ნახშირჟავა, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიანი მინერალური წყლები, საერთო მინერალიზაციით 5,0-7,5 გ/ლ. სამკურნალო ჩვენებები: გულსისხლძარღვთა, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ანემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა, სხივური დაავადება *(ნოდია, 1976).* მკურნალობის სახეობებია- პასიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის მიღება (დალევა). ლამაზი მიდამოები და ჯანსაღი ჰავა ქმნის დასვენებისა და მკურნალობის ხელსაყრელ პირობებს. ტიმოთესუბნის მონასტრის მახლობლად, გამოდის სუსტი მინერალიზაციის ნახშირმჟავა მინერალური წყალი, რომელსაც მოსახლეობა იყენებს სასმელად. ტიმოთესუბანი ახლო კურორტების დამსვენებელთა სასიამოვნო გასასეირნებელი და საექსკურსიო ადგილია.

მზეთამზე - წაღვერიდან იგი ნახევარი კილომეტრის მანძილზეა გაშლილი (ზღვის დონიდან 1150 -1200მ). ეს სოფელი და საკურორტე ადგილი წაღვერს კარგი გზითა და მთის საცალფეხო ბილიკით უკავშირდება. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. რელიეფი მთაგორიანია. კლიმატი-საშუალო მთის ქვედა სარტყელი. პლატო, რომელზეც გაშლილია სააგარაკო ადგილი, იყოფა ორ ნაწილად - ზემო და ქვემო მზეთამზედ. ეს პლატო გარშემორტყმულია მაღალი მთებით, რომლებიც დაფარულია ხელშეუხებელი წიწვიანი ტყის მასივებოთ. აქ პოულობს გამოსავალს არაერთი მთის წყარო, რომელიც გამოიყენება სასმელად. მათ შორის სუსტი მინერალიზაციის ჰიდრო-კარბონატულ-კალიუმ-მაგნიუმიანი წყლის წყარო, რომლის წყალს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს აბაზანების სახით მოძრაობის ორგანოთა, პერიფერიული ნერვული სისტემისა და კუჭ-ნაწლავის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. მზეთამზეში ყველა ბუნებრივი პირობაა მთელი წლის მანძილზე მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციისთვის *(ნოდია, 1976).*

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორისაშუალო მთის ქვედა სარტყლის ჰავაა. მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია. სამკურნალოდ ნაჩვენები დაავადებები: გულსისხლძარღვთა და სუთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია. მზის რადიაციის მხრივ მზეთამზე ცნობილ პირველხარისხოვან კლიმატურ კურორტთა და საკურორტე

ადგილთა შორის საუკეთესოა. ამიტომაც დაიმსახურა მან სახელი „მზეთამზე“ *(ნოდია, 1976).*

წაღვერის მინერალური წყაროების წყლის ამოყვანა მზეთამზეში არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს (სულ 800 მეტრის მანძილითაა დაშრებული), რაც კიდევ უფრო აამაღლებდა მის ღირებულებას. აქ შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დასასვენებელი ადგილის განვითარებისთვის შავი ზღვის სანაპირო „არტეკის“ ტიპის -„მთის არტეკის“ ორგანიზაციისთვის.

მზეთამზეში მატულობს სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა და ჰემოგლობინი, ლეიკოციტების რაოდენობა უახლოვდება ნორმას. განსაკუთრებით კარგი შედეგია მიღებული ქრონიკული ბრონქიტის, მშრალი პლევრიტის, ტუბერკულოზის, ფიბროზული ფორმების, მალარიის და აგრეთვე მეორადი ანემიის მკურნალობაში *(ნოდია, 1976).*

მზეთამზედან აღმოსავლეთით, წაღვერიდან 13 კმ-ის დაშორებით, გუჯარეთისწყლის თვალწარმტაც ნაპირზე, განლაგებულია სამკურნალო ადგილების მთელი წყება - აბანოს ღელე, მაჭარწყალი, წინუბანი, ვარდევანი, ტყემლოვანი, პატარა მიტარბი და სხვ. აქ სულ მცირე მანძილზე ერთიდან ხუთ კილომეტრამდე ნანახია სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლების გამოსავლის მთელი სერია. სისტემატური დაკვირვება ორგანიზმზე ამ წყაროების გავლენის შესახებ საბჭოთა პერიოდში არ ჩატარებულა. ეს წყლები ძირითადად განეკუთვნება ესენტუკის, საირმის, ნარზანისა და აგრეთვე თბილი გოგირდიანი წყლების ტიპებს *(ნოდია, 1976).*

ცემი - მდებარეობს ბორჯომიდან 18 კმ-ზე თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადგერის პლატოზე, ზ. დ. 1120 მ სიმაღლეზე. ცემის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დადებითმა მოქმედებამ დიდი ხანია მიიქცია ყურადღება, რის შედეგადაც ჯერ კიდევ 1904 წელს აქ გაიხსნა რკინიგზის სანატორიუმი, რომელიც 1980-იან წლებშიც აგრძელებდა მუშაობას *(ნოდია, 1976).*

კლიმატი საშუალო მთის (ქვედა სარტყელი). ხასიათდება ცივი, საკმაოდ თოვლიანი ზამთრითა და ზომიერად თბილი, მშრალი ზაფხულით). ჰაერის განსაკუთრებული სისუფთავისა და გამჭვირვალობის წყალობით, საკმაოდ მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია. კურორტის რაიონში გაბატონებული ზომიერი მთა-ხეობის ქარები უზრუნველყოფს კურორტის ბუნებრივ ვენტილაციას. აქ მკურნალობენ ავადმყოფებს სასუნთქი ორგანოების დაავადებებით, მათ შორის ფილტვების, ტუბერკულოზის მცირე ფორმებსაც. ცემი ცნობილია ასთმით დაავადებული ბავშვების სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურორტად. მკურნალობის სახეობა - პასიური კლიმატოთერაპია *(ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014).*

სამკურნალო ჩვენებები: გულსისხლძარღვთა და სუთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია. მაღალი სამკურნალო ეფექტურობის გამო ცემში სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფთა რაოდენობა საბჭოთა დროს ყოველწლიურად მატულობდა (განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში) და 80-იანი წლებისთვის 7-8 ათასს აღემატებოდა, მიუხედავად ცემის საბინაო ფონდისა და აქ არსებული სტაციონარული საწოლების რაოდენობის სიმცირისა (1970-იანი წლებისთვის ცემში მუშაობდა 200 საწოლიანი სანატორიუმი სრულასაკოვანთათვის, 100 საწოლიანი ბავშვებისთვის და აგრეთვე პიონერთა ბანაკები) *(ნოდია, 1976).*

ცემი პირველხარისხოვან მთის კლიმატურ კურორტად უნდა ჩაითვალოს. იგი სამკურნალო-პროფილაქტიკური პროფილის მქონე მთელი წლის მანძილზე მომუშავე კურორტია და ძირითადად ტუბერკულოზის დახურული ფორმებით დაავადებულთა სამკურნალოდ გამოიყენება. საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველ რიგში თვით ცემის პლატო და მისი უშუალო გაგრძელება - სოფელ ტბის ტერიტორია *(ლიპარტელიანი & ნინიკაშვილი, 2014).*

ტბა- მეტად ლამაზი მთის კურორტი, წარმოადგენს ცემის ტერიტორიის გაგრძელებას. იგი მდებარეობს ბორჯომიდან 18 კმ მანძილზე, ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე. ამ

ადგილიდან 2 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა ნახშირმჟავა-რკინიან-ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი მინერალური წყაროების გამოსავალი. წყალს ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და სისხლნაკლულობის დროს. ტბაში ზაფხულობით დასასვენებლად ჩაჰყავდათ საბავშვო სახლების, ბაგებისა და პიონერთა ბანაკების ათასობით ბავშვი. სამკურნალო ჩვენებებია: გულსისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია *(ნოდია, 1976).*

პატარა ცემი - ლიბანთან ახლოს, თანამოსახელე რკინიგზის სადგურთან, ზღვის დონიდან 1370 მ სიმაღლეზე, მდებარეობს სახელგანთქმული საბავშვო კლიმატურ-თერაპიული კურორტი პატარა ცემი. მას უკავია ლამაზი ფერდობი, რომელიც დაქანებულია მდინარე ბაკურიანის ხეობისაკენ და მთლიანად დაფარულია მდიდარი წიწვიანი ტყით *(ნოდია, 1976).*

ვენტილაციური პროცესების მიხედვით პატარა ცემს აქვს ზოგიერთი უპირატესობა ლიბანთან შედარებით, რადგან დაქანებული ფერდობი და მდინარე ბაკურიანის ხეობასთან სიახლოვე უზრუნველყოფს აქ ადგილობრივი ქარების შემოჭრას, რაც ხელს უწყობს ამ ადგილის განტვირთვას ზედმეტი ტენისაგან *(ნოდია, 1976).*

სამკურნალო ჩვენებები: გულსისხლძარღვთა, სუნთქვის სისტემები, ნევროზი, შაკიკი, ანემია. პატარა ცემში იყო სანატორიუმი - სატყეო სკოლა 80 საწოლით, რომელიც მუშაობს ძირითადად ზაფხულის თვეებში დადგენილია პატარა ცემის კლიმატური პირობების განსაკუთრებული დადებითი გავლენა ბავშვთა ორგანიზმზე *(ნოდია, 1976).*

როგორც ვხედავთ, წაღვერის ირგვლივ საკმაოდ მნიშვნელოვანი და მდიდარი კუროტები (ცემი, პატარა ცემი, ტბა) და საკურორტე ადგილები (დაბა, მზაეთამზე, ტიმოთესუბანი) არსებობს. მათი ძირითადი ნაწილი პულმონოლოგიური და ფთიზიატრიული (ფილტვების) სამედიცინო პროფილისაა და ბავშვთა სამკურნალოდ გამოიყენება. ამ კურორტებისა და საკურორტე ადგილების განვითარებით წაღვერის გარშემო შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკურორტე ქსელი ჩამოყალიბდეს.

თავი II. კურორტ წაღვერის ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგები

2.1კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ 9-23 ივლისს 2018 წაღვერში განხორციელებულ ტრანსდისციპლინურ კვლევას, რომელიც განხორციელდა პროექტის: Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region/CaucaSusT ფარგლებში და დაფინანსდა APPEAR-ის (A programme of the Austrian Development Cooperation) მიერ. მასში მონაწილეობდა 17 სტუდენტი, 5 პროფესორი და კოლეგები ავსტრიის ბოკუსა (BOKU) და (KREMS) კრემსის უნივერსიტეტებიდან.

ტრანსდისციპლინური მიდგომა გვეხმარება საკვლევი ობიექტის მრავალმხრივ და ამომწურავ შესწავლაში. კვლევის პროცესში გამოყენებულია შერეული კვლევის მეთოდები (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები). ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგად გამოიკითხა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ტურისტულ და მომიჯნავე ბიზნესში ჩართული მხარეები, დამსვენებლები და მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირებიც. სულ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 153 რესპოდენტი. რაოდენობრივი კვლევის დროს გამოვიყენეთ პირისპირი ინტერვიუ. კვლევის ინსტრუმენტი იყო სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შემუშავდა წინასწარ საკვლევი საკითხების ირგვლივ და გაიარა პილოტირება. რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო ადგილობრივი მოსახლეობა. გამოკითხული 80 ადგილობრივი მოსახლიდან 41 არის წაღვერის დაბის მკვიდრი, 20 მზეთამზედან და ტიმოთესუბნიდან, ხოლო 19 ცემიდან და კეჩხობიდან. შერჩევის დიზაინი იყო შემთხვევითი შერჩევა, შესაბამისად კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ასახავს ადგილობრივ ტენდენციებს. წინასწარ შექმნილი კითხვარით გამოიკითხა ტურისტები, ტურიზმსა და მომიჯნავე სექტორებში ჩართული დაინტერესებული პირები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

აღნიშნული ინტერვიუებისათვის რესპონდენტთა შერჩევა ხდებოდა მიზნობრივად. კვლევის ფარგლებში ჩატარდა შვიდი არასტრუქტურირებული ინტერვიუ ექსპერტებთან წინასწარ შექმნილი არასტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. ექსპერტები შერჩეულ იქნა მიზნობრივად ტურიზმზე მომუშავე აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისა და ადგილობრივი თემის აქტიური წარმომადგენლებისაგან.

კვლევის თეორიული ჩარჩოს დიზაინისათვის გამოვიყენე ლიტერატურის მიმოხილვის მეთოდი. შესწავლილ იქნა ტურიზმის, საბჭოთა კურორტებისა და პოსტსოციალისტური ტურისტული კერების განვითარების შესახებ არსებულ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვ.) აკადემიური ლიტერატურა მოვიძიე ხელით ძებნის საშუალებით საკვანძო სიტყვების გამოყენებით. კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, განხორციელდა მეორადი მონაცემების ანალიზი, კერძოდ, საარქივო დოკუმენტების ანალიზი: შევისწავლე ოქმები, ანგარიშები, განკარგულებები და ბრძანებები უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივიდან. ამავდროულად ნაშრომში გამოყენებულია მასალები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (ეს მასალა ასახულია შედგენილ რუკებში) და სტატისტიკური მასალები საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურიდან (საქსტატი). მეორადი მონაცემების ანალიზის ფარგლებში შევისწავლე პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საბჭოთა დროის პერიოდული გამოცემები, რომლებიც ეძღვნებოდა კურორტ წაღვერის თემატიკას, ამავდროულად მოხდა ქართველი და უცხოელი ავტორების ფუნდამენტური შრომების, სტატიების შესწავლა. ანალიტიკურ ეტაპზე განხორციელდა ემპირიული მონაცემების დამუშავება. ექსპერტული ინტერვიუების ტრანსკრიპტები გაანალიზდა ღია კოდირების და კატეგორიზაციის მიდგომების გამოყენებით. კვლევის შეზღუდვაა ის, რომ წაღვერში განხორციელებული ტრანსდისციპლინური კვლევიდან ერთ წელიწადში ნაშრომის ავტორმა ვერ შეძლო ხელმეორედ მსგავსი კვლევის ჩატარება რესურსების (ადამიანური, ფინანსური, დროის) არ არსებობის გამო. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, რომ გვენახა ის ცვლილებები, რომლებიც დაბამ ერთ წელიწადში განიცადა და შეგვედარებინა ორივე კვლევის მონაცემები ერთმანეთს.

2.2 კურორტზე არსებული პრობლემები

კურორტის შესწავლისას გამოიკვეთა მრავალი გამოწვევა სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ განხორციელდა აღნიშნული საკითხების გაერთიანება 4 ჯგუფად: სოციალური, ინფრასტრუქტურული, ეკოლოგიური და მართვის. ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ქმნის პრობლემათა რთულ ჯაჭვს.

სოციალური ხასიათის პრობლემები

მოსახლეობისთვის ნომერ პირველ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს. რესპოდენტთა უმეტესობა უმუშევარია. თემში გვხვდება მრავალრიცხოვანი ოჯახები, მათ უმეტესობაში დასაქმებულია ოჯახის ერთი ან ორი წევრი და არსებობს ისეთი ოჯახები, სადაც არცერთი წევრი არაა დასაქმებული *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*. სამუშაო ადგილების უკმარისობა იწვევს კიდევ ერთ პრობლემას - მიგრაციას, რის შედეგადაც მოსახლეობა იკლებს. ადგილობრივები ცდილობენ, რომ უფრო დიდ ქალაქებში გადავიდნენ, მაგალითად ბორჯომი, თუმცა არის საზღვარგარეთ მიგრაციის ტენდენციაც. საცხოვრებლის დატოვებისა და სხვა ადგილზე გადასვლის მთავარ მიზეზად გამოკითხულთა უმეტესობისთვის სწორედ გარანტირებული სამსახურის არქონა და ფინანსების დაგროვების სურვილი სახელდება.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე სერვისების (მომსახურებების) ნაკლებობა და ტურისტებთან დაკავშირებული აუცილებელი ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარების არქონა. წაღვერში სერვისები არამარტო შეზღუდულია, არამედ ხასიათდება, როგორც დაბალი ხარისხის. ტურისტებთან მომუშავე პერსონალს ესაჭიროება სპეციალური ტრენინგები თუ გადამზადება, რათა შეიძინოს მომსახურების სფეროში მომუშავე პირისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. კურორტზე გარდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობისა, კიდევ ერთი პრობლემაა - ენობრივი ბარიერის არსებობა. *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*. საერთაშორისო ტურიზმის

განვითარება რთულია, როდესაც პერსონალს, თუ სასტუმროს მეპატრონეებს უჭირთ სტუმრებთან კომუნიკაცია.

გადაუჭრელი პრობლემაა თემის წევრების ჩართულობის სიმცირე ტურისტულ პროგრამებში, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტასა და თემის შიგნით კოოპერირების დაბალი ხარისხი. ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა, ერთმანეთთან კომუნიკაცია. წაღვერის ცნობადობის ამაღლებისთვის საჭიროა არამხოლოდ ცალკეული ობიექტების პოპულარიზაცია, არამედ თვითონ დესტინაციის, ტერიტორიის მნიშვნელობის ზრდა და ეს არის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესიც. არ ხდება კურორტის ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ რეკლამირება/პრომოუშენი. სატელევიზიო რეკლამა ძვირია, თუმცა 21-ე საუკუნეში არსებობს ინტერნეტი - ონლაინ სივრცე, რომელიც ინფორმაციის სწრაფად, უფასოდ გავრცელების საშუალებას იძლევა. წარსულში წაღვერის შესახებ აქტიურად იწერებოდა ჟურნალებსა თუ გაზეთებში. დღეს კურორტის შესახებ ონლაინ სივრცეში სარეკლამო ინფორმაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, ინფორმაციის გავრცელება შეიძლება სოციალური მედიის საშუალებით. სოციალური მედია წარმოადგენს გარკვეულ ინსტრუმენტს რეპუტაციის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად. წაღვერი საქართველოს 13 ყველაზე მცირებიუჯეტიან კურორტში შედის *(მენაბდიშვილი, 2017)* და თუნდაც ამ ინფორმაციის სათანადოდ გავრცელება ბევრ დამსვენებელს მოიზიდავდა აქ. კურორტზე ბინის ქირაობა დაახლოებით 20 ლარიდან არის შესაძლებელი, რაშიც კვება გათვალისწინებული არ არის. ეს ინფორმაცია ფართო მასებისთვის მიუწვდომელია.

ერთიანი ქცევა ყველა დაინტერესებული პირისა და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პრობლემის მოგვარებისთვის. არ არსებობს კოოპერაცია ექსტრემალურ ვითარებაში მოქმედების თაობაზეც. ხანძრის, წყალდიდობის, უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად ისევ და ისევ აუცილებელია ძალების გაერთიანება და თანამშრომლობა, რისი პრაქტიკაც თემში არ არის.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დამსვენებლთა ნაკლებობა (წაღვერის პრობლემების თანმდევი პროცესია) და კურორტის სეზონურობა, რომელსაც განაპირობებს შემცირებული შვებულებები, არდადეგები და სხვ. აღნიშნული ვითარების გამო, წარმოუდგენელია, რომ დღეს მრავალნომრიანი სასტუმროების მშენებლობა მომგებიანი იყოს. ვინაიდან კურორტი ისედაც განიცდის სტუმართა ნაკლებობას. ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურისტული ნაკადები შესამჩნევად შემცირდა, გასულ წლებში ჩამოსვლების ხანგრძლივობაც მეტი იყო *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

ინფრასტრუქტურული პრობლემები

ინფრასტრუქტურულ პრობლემებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია სასმელი წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო გაყვანილობის პრობლემა, რომელმაც 1990-იანი წლებიდან დაიწყო გაუარესება და დღემდე ასეთ ვითარებაშია. ბორჯომში გაიყვანეს წაღვერიდან მილები წყლის მისაწოდებლად, სადგერში იდგა ფილტრები და შესაბამისად ბორჯომს სუფთა წყალი მიეწოდება, ხოლო წაღვერის მოსახლეობა კი რჩებოდა და ახლაც რჩება ტენიკური წყლის ამარა, ანუ ეს წყალი სასმელად გამოუსადეგარია. ასევე წვიმის დროს ხშირად ხდება თემისთვის წყლის მიწოდების შეჩერება და ხშირ შემთხვევაში ეს პროცესი რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დაბა წაღვერისა და კეჩხობის ტერიტორიაზე. ცემის, ტიმოთესუბნისა და მზეთამზეს მოსახლეობას აღნიშნული პრობლემა არ აწუხებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია ადგილობრივებისთვისა და დამსვენებლებისთვის. როდესაც დამსვენებელი წყლის პრობლემას წააწყდება, მას უკვე უქრება წაღვერში ხელახლა ჩამოსვლის სურვილი *(ღონღაძე, 2018)*.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხია, ცენტრალური გზა, რომელიც აერთებს მუნიციპალიტეტის ორ მთავარ დასახლებას (ბორჯომსა და ბაკურიანს) და წაღვერის ცენტრზე გადის. ბაკურიანში უზარმაზარი მშენებლობები მიმდინარეობს და დღისა და ღამის განმავლობაში სატვირთო მანქანები მოძრაობს. შედეგად ვიღებთ

ხმაურითა და გამონაბოლქვით კურორტის დაბინძურებას და საფრთხეს გადატვირთული გზის გადაკვეთისას. ჯერ-ჯერობით ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

მოსახლეობისთვის გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ თემის ტერიტორიაზე არ არსებობს ძირითადი მომსახურების ობიექტები. გამოიკვეთა საბანკო-საფინანსო მომსახურების, მაღაზიებისა და სამედიცინო პუნქტების ნაკლებობა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა. ეს ყველაფერი დამსვენებლებსა და ტურისტებს დიდ დისკომფორტს უქმნის. მომსახურების ძირითადი ობიექტების, თანამედროვე განთავსების საშუალებების ნაკლებობა და ძველი ინფრასტრუქტურა კურორტის არსებულ იერსახეს განაპირობებს. პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არ განხორციელებულა ახალი სამშენებლო პროექტები. არ არსებობს ისეთი ობიექტები, რომლითაც ტურისტი დაინტერესდება. პარკში უკვე წლებია ერთი და იგივე ინფრასტრუქტურაა. შეიძლება სკამი შეაკეთონ ან ახალი დადგან, მაგრამ ძირეული ცვლილებები არ ხორციელდება. ტურისტი რომ ჩამოვიდეს და რაიმე ახალი დახვდეს, ასეთი რამ წაღვერში არ ხდება. განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის განახლებაა საჭირო, მათ შორის სანატორიუმისა და დედათა და ბავშვთა პანსიონატის კეჩხობში. კურორტის თვალშისაცემი, ბაზისური პრობლემა, სწორედ მოდერნიზაციის ნაკლებობაა. სასტუმრო სახლებისა და ჰოსტელების მეპატრონეები ცდილობენ, რომ საკუთარი ხელით განაახლონ შენობები და უფრო მიმზიდველი გახადონ ისინი, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ვერ მოახდენს გავლენას მთლიანად კურორტის იერსახეზე *(ღონღაძე, 2018)*.

ამავდროულად წაღვერში მიმდინარეობს უკონტროლო მშენებლობები. მარტივია მშენებლობის უფლების მოპოვება და ეს კიდევ ერთი მწვავე საკითხია, ვინაიდან მშენებლობა მიმდინარეობს ხშირად კურორტის რელიეფის, არქიტექტურული თავისებურებების, არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, რაც საკმაოდ უარყოფითად აისახება დაბის იერსახეზე.

ძირითადი მომსახურების ობიექტებთან ერთად შეინიშნება გასართობი ადგილების ნაკლებობა. არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურაც, რომელიც საჭიროა მკურნალობისა და თავისუფალი დროის გატარებისათვის (კაფე-ბარები, ატრაქციონები, სპორტული მოედნები, კინო, სააბაზანო, სამკურნალო ცენტრი, საზოგადოების თავშეყრის ადგილები და სხვ.) *(ყუფარაძე, 2019).* აღნიშნული ობიექტები მოგზაურობას უფრო საინტერესოსა და დაუვიწყარს ხდის. წაღვერი ისეთი კურორტია, სადაც რეკომენდებულია მინიმუმ 1 კვირით დარჩენა, რაც საკმაოდ რთულია ტურისტისთვის, თუკი მას გასართობი არ ექნება და არ გაუღვივდება ინტერესი. განსაკუთრებით ახალგაზრდა და აქტიურ დამსვენებელს უჭირს რამდენიმე დღის გატარებაც კი სერვისებისა და გასართობი ადგილების გარეშე. წაღვერში არის 2-3 მაღაზია (საქონლის შეზღუდული რაოდენობითა და ასორტიმენტით), პარკი და საკონდიტრო „გვირგვინა“. დამსვენებლების უფრო დიდხანს დარჩენისთვის აუცილებელია ბუნებასთან და ლამაზ ლანდშაფტებთან ერთად არსებობდეს საინტერესო გასართობი ადგილების გარკვეული რაოდენობა. გასართობი ადგილების სიმცირესთან ერთად შეინიშნება ღონისძიებებისა და ფესტივალების სიმცირეც, რაც გაზრდიდა ლოკაციის მიმზიდველობას ტურისტისთვის.

ეკოლოგიური პრობლემები

გარემოს დაბინძურება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისეთი კურორტისთვის, როგორიცაა წაღვერი. დაბინძურება ამცირებს ლამაზი ბუნებისა და ხედებისგან მიღებულ შთაბეჭდილებას. კურორტს აკლია ყურადღება. დასუფთავების აქციები იმართება იშვიათად. ნაგვის უტილიზაციასთან დაკავშირებული სირთულეები, ნაგავსაყრელის არარსებობა აისახება კურორტის იერსახეზე, მათ შორის, მდინარე გუჯარეთისწყალზეც (მდინარეში იყრება ნარჩენები), ვინაიდან მდინარე მიედინება მის ნაპირებზე კუნძულოვან ფრაგმენტებად რჩება ნაგვის ნარჩენები, პლასტიკატები და ა.შ. ეს, გარდა ბიოპრობლემებისა, ქმნის ვიზუალურ პრობლემასაც, ანტისანიტარიას *(ხელაშვილი, 2019).*

ეკოლოგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ტყეს უკავშირდება. 2017 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად, არჯევანიძის ტყეში დაახლოებით 6 000 $м^2$ ტერიტორია

დაიწვა. ამას ემატება მავნებლები და ტყის უკანონოდ ჭრა, სატყეო რესურსების არასწორი ექსპლუატაცია (ზამთარში მოსახლეობისთვის გათბობის ერთადერთი საშუალება შეშაა) *(გელაშვილი, 2019).* ცნობილია, რომ სწორი, მიზანშეწონილი ექსპლოატაციის დროს ტყის ჭრა შესაძლებელია ახლის მოშენების თანაბრად. წაღვერში კი ეს არ ხდება. შედეგად იკარგება მნიშვნელოვანი სატყეო რესურსები.

მართვასთან დაკავშირებული პრობლემები

პრობლემების მეოთხე ჯგუფს წარმოადგენს მმართველობა და მართვა ანუ კურორტის მენეჯმენტი. კურორტს არ გააჩნია ტურიზმის განვითარების გეგმა. შესაბამისად, არ არსებობს გაწერილი დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა განვითარება განაპირობებს კურორტის აღდგენას *(ხოშტარია, 2019).*

ბიუჯეტისა და ფინანსური მხარდაჭერის სიმცირე ადგილობრივი მთავრობის მხრიდან, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლია წაღვერის პრობლემათა ჯაჭვში. წაღვერის ტურიზმის არასაკმარისი პოპულარობა მუნიციპალიტეტის უყურადღებობასა და ბიუჯეტიდან გამოყოფილ არასაკმარის თანხებს უკავშირდება. მუნიციპალიტეტს ისედაც მცირე თანხები აქვს გამოყოფილი და მათი ძირითადი ნაწილი ბორჯომსა და ბაკურიანს ხმარდება. აქცენტი და ყურადღება რეგიონის ტურისტულ ცენტრებზეა გამახვილებული, შესაბამისად წაღვერი ჩრდილში რჩება.

ინვესტიციების მოზიდვა - ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს იმის საშუალება, რომ თავად ჩადოს ინვესტიცია და რომც მოიზიდოს ინვესტიციები, არ აქვს იმის გარანტია, რომ ჩადებული თანხები ამოიღოს, ბიზნესი აწარმოოს და მენეჯმენტი გაუწიოს ისე, რომ კონკურენტუნარიანი იყოს *(ხელაშვილი, 2019).*

2.2.2 ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგები

ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობრივი კვლევის პროცესში გამოკითხული 80 რესპოდენტიდან 41 იყო დაბა წაღვერის მკვიდრი, 20 მზეთამზედან და ტიმოთესუბნიდან,

ხოლო 19 ცემიდან და კეჩხობიდან *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018).*

რესპოდენტთა 60% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 40% მამრობითი. გამოკითხულებში ჭარბობდა 41-65 წლამდე ასაკის რესპოდენტთა რიცხვი (42 ადამიანი), 66 წელზე მეტი ასაკის იყო 19 რესპოდენტი, 26-40 წლამდე ასაკის რესპოდენტთა რაოდენობა (18 ადამიანი) და მხოლოდ ერთი რესპოდენტი იყო 25 წლამდე ასაკის *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018).*

რესპოდენტთა უმეტესობა არის საშუალო განათლების მქონე - 47,5%, უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტების რაოდენობა 33,7%-ია, ხოლო პროფესიული და არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებელია შესაბამისად 10% და 8,8% *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018). (აღნიშნული თავის დიაგრამები #1-დან #13-ის ჩათვლით, გრაფიკები #1-#3ის ჩათვლით და ცხრილები #3 და #4 იხილეთ დანართში).*

რესპოდენტთა დაახლოებით ორი მესამედი უმუშევარია, ერთი მესამედი დასაქმებული და გამოკითხულთაგან სულ 3 რესპოდენტი, დასაქმებულია სეზონურად. თემში გვხვდება მრავალრიცხოვანი ოჯახები, რომელთა უმეტესობაში დასაქმებულია ოჯახის ერთი ან ორი წევრი, თუმცა დიდია ისეთი ოჯახების რაოდენობა (27,5%), რომლებშიც ოჯახის არცერთი წევრი არაა დასაქმებული. კერძო სექტორში დასაქმებულია რესპოდენტების 41,4%, საჯარო სექტორში - 37,9%, ხოლო თვითდასაქმებული - 20,7% *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018).*

გამოკითხულთა უმეტესობა დაქორწინებულია, თუმცა კვლევისას გამოიკითხა დაუქორწინებელთა და ქვრივთა მცირე რაოდენობაც. გამოკითხულთაგან 13 ადამიანმა დროებით შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (8 ცხოვრობდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ხოლო 5 საქართველოს სხვა რეგიონებში) და უკან დაბრუნდა. საცხოვრებლის დატოვების მთავარ მიზეზად სახელდება ფინანსების დაგროვება, ასევე საზღვარგარეთ სწავლისა და ცხოვრების სურვილი. კვლევის მონაწილეთა უმეტესობას (82,5%), არ აქვს სხვა

საცხოვრებელ ადგილას გადასვლის სურვილი, 17,5% გამოთქვამს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სურვილს, (რეალურად უახლოეს პერიოდში გეგმავს მხოლოდ 6,3%). გარანტირებული სამსახურის არქონა სახელდება თემის დატოვების სურვილის მთავარ მიზეზად უმეტესობისთვის *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

მოსახლეობის აღქმით, მათი უმეტესობა (53,7%) თავს საშუალო შემოსავლის მქონედ მიიჩნევს, ხოლო 32,5% დაბალშემოსავლიანია. სიღარიბის ზღვარს დაბლა მყოფთა პროცენტული რაოდენობა 13,8%-ია, და მათი დიდი ნაწილი ტიმოთესუბნისა და მზეთამზეს მაცხოვრებელია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპოდენტებიდან არავინ თვლის თავს მაღალშემოსავლიანად. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის ოდენობა გამოკითხვის მიხედვით 700 ლარია. მინიმალური შემოსავალია 180 ლარი, ხოლო მაქსიმალური - 2900 ლარია. გამოკითხულ რესპოდენტებს შორის ოთხი ოჯახი იყო თვეში 2000 ლარზე მეტი შემოსავლით და სწორედ მათ ხარჯზე გაიზარდა მოსახლეთა საშუალო თვიური შემოსავლის მაჩვენებელი *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

გამოკითხული ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ხელფასი და პენსია. ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობიდან შემოსავალს იღებს მოსახლეობის 15%-ზე მეტი, ხოლო დაახლოებით 10% - სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან. რესპოდენტთა მცირე ნაწილის შემოსავლის წყაროა სხვა სამეურნეო საქმიანობა და ჩარიცხვები საზღვარგარეთიდან. შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯება საკვებ პროდუქტებსა და კომუნალურ გადასახადებზე. პირველადი საჭიროების ნივთების (პროდუქტი, მედიკამენტი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ.) შეძენა დაბის ტერიტორიაზე პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან აფთიაქი, ტანსაცმლის, ტექნიკის, თუ სხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია არ არსებობს. დაბის ცენტრში მდებარეობს პროდუქტების შეზღუდული ასორტიმენტის მქონე რამდენიმე მარკეტი. გარკვეული პროდუქტის შეძენა შესაძლებელია (მოძრავი) მაღაზიიდანაც, (პროდუქტით დატვირთული

მანქანა ხაშურიდან ამოდის კვირაში 3-ჯერ), ორივე შემთხვევაში ასორტიმენტი შეზღუდულია. მნიშვნელოვან პროდუქტებთან ერთად, შეუძლებელია გაუყინავი ხორცის შესყიდვა. ამიტომ მოსახლეობას უწევს ხშირი გადაადგილება ქვეყნისა და რეგიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში (ძირითადად ბორჯომი და ხაშური), იმის გათვალისწინებით, რომ წაღვერისა და ქალაქ ბორჯომის ტერიტორიაზე პროდუქტის ფასი მნიშვნელოვნად მაღალია, პროდუქტების მოსამარაგებლად მოსახლეობა ხშირად მუნიციპალიტეტის საზღვრებსაც სცდება და სურსათი ქალაქ ხაშურიდან მოაქვთ. გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთი რესპოდენტებიც, რომელთაც უწევთ ბორჯომში ყოველდღიური გადაადგილება სამუშაოდ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქანქარისებურ მიგრაციასთან *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

გამოკითხულთა 70% დასახლების ფარგლებში ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს (საშუალო ფართობი შეადგენს 2100მ^2). მიწები დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩევა. მფლობელობაში არსებული მიწების დაახლოებით 54% გამოუყენებელია. ძირითადად მოჰყავთ ბოსტნეული (ლობიო, კარტოფილი, სიმინდი) და ხილი (უმეტესად კენკროვანი). ნაკვეთები გამოიყენება სათიბ-საძოვრადაც *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, მოსახლეობის უმეტესობის აღქმით, დასახლების სოციალურ-ეკონომიკური პირობები ან გაუარესდა ან იგივე დარჩა. გამოკითხულთაგან მხოლოდ 2,5% მიიჩნევს, რომ ამ პერიოდში დასახლების სოციალურ ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი წაღვერის კონკურენტუნარიან მხარედ ბუნებრივ პირობებს (ჰაერი, წყალი), ისტორიულ ძეგლებსა და მოსახლეობის სტუმართმოყვარეობას ასახელებს. რესპოდენტების მიერ ხაზგასმულ პრობლემებს განეკუთვნება უმუშევრობა, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, (მათ შორის წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო გაყვანილობის პრობლემა). რესპოდენტთა გარკვეულ ნაწილს უჭირს

ზემოთაღნიშნული პრობლემებიდან გამოსავლის პოვნა. გამოკითხულთა მესამედი მიიჩნევს, რომ წაღვერის თემს ესაჭიროება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა. ნაწილისთვის კი გამოსავალი სამუშაო ადგილების ზრდაშია. ამასთანავე დასახელდა პრობლემების გადაჭრის შემდეგი გზები: ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების გაუმჯობესება, ინვესტორების შემოსვლა, ტურიზმის განვითარება და სხვა *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

თვისებრივი კვლევა განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით განთავსების საშუალებებების მეპატრონეებთან, სტეიკჰოლდერებთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან (ქეთევან ბეროზაშვილი - მუნიციპალიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზურაბ ჩხაიძე - არქიტექტურისა და მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ოთარ არბოლიშვილი - წაღვერის თემის დეპუტატი).

წაღვერის ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების შესასწავლად გამოიკითხა სასტუმრო სფეროს წარმომადგენლები და მათი მმართველები წაღვერში, ცემსა და კეჩხობში. კვლევა ჩატარდა არსებული სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების უმრავლესობაში, მათ შორის: „წაღვერი ლოჯი“, „ნატვრის ხე“, „გრინ ჰაუსი“, დედათა და ბავშვთა პანსიონატი „კეჩხობი“ და ა.შ. სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად, სასტუმროების წარმომადგენლებმა დაასახელეს იგივე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომლებიც რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა. რესპოდენტთა თქმით, დამსვენებლებს წაღვერში ძირითადად წარმოადგენენ ბავშვიანი ოჯახები. მათი ძირითადი მოტივი დასვენება და გაჯანსაღებაა. დამსვენებელთა უმრავლესობა წაღვერის სისტემატური სტუმარია. კურორტი ახალი ვიზიტორებისა და დამსვენებლების ნაკლებობას განიცდის, რაც კურორტის გადაუჭრელი პრობლემებითაა გამოწვეული *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

თემში ტურიზმის სხვა სექტორებთან კავშირის დასადგენად სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 17 დაინტერესებული პირი (სტეიკჰოლდერი): მკერავი, ხუთი

ფერმერი, ორი მურაბის მწარმოებელი, მერძევე, მარწყვის მეწარმე, ტაქსისტი, მეფუტკრე, ორი დურგალი, მაღაზიის მეპატრონე, დისტრიბუტორი და კონდიტერი. აღნიშნული პირები თემის აქტიური წევრები არიან და თავიანთ პროდუქციას ძირითადად წაღვერში, ან ბორჯომ-ბაკურიანში ასაღებენ. რამდენიმე მათგანმა საქმიანობა პროექტების: „აწარმოე საქართველოს“ და გაეროს განვითარების 2013 წლის პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით დაიწყო. სიღრმისეული ინტერვიუების დროს სტეიკჰოლდერებმა თავიანთ საქმიანობაში დამაბრკოლებელ ფაქტორებს შორის აღნიშნეს: ინოვაციური იდეების სიმცირე, ტურისტებთან მუშაობის გამოცდილების, ცოდნისა და უნარების არქონა, აქტორებს შორის უნდობლობა, კომუნიკაციის პრობლემა, ადგილობრივ ბაზარზე კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა, ტურისტულ პროგრამებში თემის ჩართულობის სიმცირე, სეზონურად ადგილობრივი ღონისძიებების სიმცირე, დაბალი თვითშეგნება, ხანმოკლე ხედვა *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა წაღვერის 15 ვიზიტორი. შედეგად დადგინდა მათი დამოკიდებულება წაღვერის თემის ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურებისადმი. გამოკითხულთა უმრავლესობა (13 რესპოდენტი) საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ხოლო 2 გამოკითხული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო. ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგად შეფასდა განთავსების საშუალებების შემდეგი კრიტერიუმები: მომსახურება, ენობრივი ბარიერი, მდებარეობა, საკვების არჩევანი, უსაფრთხოება, ფასი და სისუფთავე *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

რესპოდენტებმა კრიტერიუმები შეაფასეს 5 ბალიანი სისტემით, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან ცუდს და 5 - ძალიან კარგს. ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა განთავსების საშუალებათა მდებარეობამ (3,8), ხოლო ყველაზე დაბალი შეფასება - საკვების არჩევანმა (1,3). ტურისტების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო ხანებში წაღვერმა ნელ-ნელა დაიწყო გამოცოცხლება. ადგილობრივები დამსვენებლებს კეთილმოწყობილ საოჯახო სასტუმროებს და საკუთარი ხელით მოყვანილ ბიოპროდუქტებს სთავაზობენ.

დაიწყო მუშაობა აგრო-ტურიზმის განვითარების კუთხით. აქაურები ცაცხვის ჩაისთან და გირჩის მურაბასთან ერთად, საკუთარ მეურნეობაში მოყვანილ ჟოლოს, პომიდორს, გოგრას და სხვა პროდუქტებსაც სთავაზობენ დამსვენებლებს. ტურისტებისთვის მოინიშნა სხვადასხვა სირთულის სალაშქრო ბილიკებიც. მსურველებს შეუძლიათ დალაშქრონ უზნარიანის ციხე (მარშრუტი 3.5 კმ), ეიფელის ხიდი და დაბის წმინდა გიორგის ეკლესია (მარშრუტი 10 კმ), მთა გვირგვინა (მარშრუტი 22 კმ), მთა თორტიზა (მარშრუტი 12.5 კმ) *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული რესურსები. შედეგად დადგინდა, რომ ანთროპოგენური ცვლილების ხარისხი საშუალოზე ნაკლებია და თემს პირვანდელი ბუნებრივი სახე თითქმის არ აქვს შეცვლილი. ამავდროულად განხორციელდა თემის მენეჯმენტისა და თანამონაწილეობითი მართვის შესწავლაც. ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან: მუნიციპალიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, არქიტექტურისა და მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელთან და წაღვერის თემის დეპუტატთან. კვლევამ გამოავლინა, რომ მუნიციპალიტეტის ტურიზმის ბიუჯეტი შეზღუდულია და წელიწადში შეადგენს მხოლოდ 12 000 ლარს. ისევე, როგორც მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ წაღვერის მთავარი პრობლემა პირველადი ინფრასტრუქტურის გაუმართაობაა. სასმელი წყლის მიწოდება თემისათვის მათთვისაც პრიორიტეტული საკითხია. აღსანიშნავია, რომ ჩატარდა ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა და სამუშაოებს ატარებდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და არა ადგილობრივი კომპანია. მათ წაღვერში გაიყვანეს ახალი წყლის მილები, თუმცა შემდეგ სამუშაოები დროში გაიწელა და შეჩერდა. შესაძლოა, ეს განპირობებული იყოს მუნიციპალიტეტს, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კომუნიკაციის ნაკლებობით *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

წაღვერის ცენტრში გამავალ ცენტრალურ გზასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია რელიეფის თავისებურებების გამო. ვინაიდან გზა წარმოადგენს ეროვნული დანიშნულების მაგისტრალს, შეუძლებელია „მწოლიარე პოლიციელის“ დაყენება სიჩქარის კონტროლისთვის. მუნიციპალიტეტი გეგმავს ახლო მომავალში „ჭკვიანი კამერების“ დაყენებას თემის ცენტრში, რაც პრობლემას ძირფესვიანად ვერ გადაჭრის, თუმცა შეამცირებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტებს და გაზრდის უსაფრთხოების ხარისხს. ამასთანავე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, მოსახლეობის მსგავსად აღნიშნეს ხე-ტყის პრობლემაც. თუმცა პრობლემის არსი სხვადასხვაგვარად არის გაგებული მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან. თუ ადგილობრივები საუბრობდნენ ტყეში მავნებლების არსებობაზე, წაღვერის დეპუტატმა ეს პროცესი ახსნა გლობალური დათბობითა და ბუნებრივი ფაქტორებით, რის შედეგადაც სუსტდება წიწვოვანი ხეები. მისი აზრით, ნელ-ნელა ბუნებრივად მოხდება წიწვოვანი ტყეების ფოთლოვანით ჩანაცვლება და ეს სხვა ტერიტორიებზეც (მაგალითად, აბასთუმანი, ტაო-კლარჯეთი და სხვ.) ვლინდება *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების აზრით, აუცილებელია წაღვერში შეიქმნას ან განვითარდეს შემდეგი მიმართულებები: სადურგლო საამქრო, მიკრო ფერმები, რათა შემდეგ მათ ბაზაზე შეიქმნას კოოპერატივი, სამკურნალო მცენარეების მოყვანა/მიწოდება (მაგალითად, ტიმოთესუბნის მონასტერი აფასოებს ცაცხვის ყვავილს) და წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. იგეგმება ბეტონის ქარხნის მშენებლობაც, რაც ტურიზმის განვითარებისთვის მიზანშეწონილი არ არის *(Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018)*.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წაღვერისთვის აუცილებელია არსებული ტურისტული კონტინგენტის შენარჩუნება და შეძლებისდაგვარად მისი უმნიშვნელო ზრდა მაინც. ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებში უკანასკნელ წლებში ცვლილებები

უმნიშვნელოა. ადგილობრივი განთავსების ობიექტები ცდილობენ პირობების გაუმჯობესების ხარჯზე ტურისტების მოზიდვას, თუმცა სერვისის დონე დაბალია ისევე, როგორც განთავსების ობიექტების ერთმანეთთან თანამშრომლობის დონე. რაც უარყოფითად აისახება საერთო პრობლემებთან გამკლავებაში.

ტრანსდისციპლინურმა კვლევამ ცხადყო, რომ წაღვერის თემში არსებობს სრულყოფილი კურორტის ჩამოყალიბებისთვის საჭირო ყველა რესურსი. აუცილებელია რესურსების რაციონალურად გამოყენება და ამავდროულად არსებულ გამოწვევებთან გამკლავება. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას მხოლოდ თემი ან მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს, ამიტომ აუცილებელია ძალების გაერთიანება და ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის მჭიდრო თანამშრომლობა პრობლემების გადასაჭრელად.

2.3.1 SWOT და PESTEL ანალიზი

SWOT ანალიზი

კვლევის საფუძველზე შედგა კურორტის SWOT ანალიზი და გამოიკვეთა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებობები და საფრთხეები.

კურორტის ძლიერი მხარეებია:

- დაბის ხელსაყრელი მდებარეობა, კომფორტული სიმაღლე და ადვილი მისადგომობა;
- კარგი დასასვენებელი ადგილის რეპუტაცია მაღალი ასაკის დამსვენებელთა კონტინგენტში;
- ხელმისაწვდომი ფასები (ბაკურიანთან და ბორჯომთან შედარებით), დასვენება შესაძლებელია მცირე ბიუჯეტითაც;
- ადგილის ბუნებრივი გარემო და კლიმატი;
- მინერალური წყალი (მათი რაოდენობა 18-ს აღწევს. დანიშნულების ფართო სპექტრი);

- კულტურულ-ისტორიული რესურსები (ეიფელის ხიდი და ,,კუკუშკა''ტიმოთესუბნის მონასტერი, დაბის ეკლესია, მარიჯანის სახლი);
- არქიტექტურულ-ურბანული განაშენიანება (ძველი სახლები).

სუსტი მხარეებია:

- სეზონურობა;

  სათანადო პირობების არ არსებობის გამო, კურორტი მხოლოდ სეზონურად ფუნქციონირებს. ამავდროულად შესამჩნევია სეზონის დამოკლების ტენდენციაც (ადრე შვებულებები უფრო ხანგრძლივი იყო და ეს ერთ-ერთი მიზეზია. დღეს წაღვერში ჩამოსული ოჯახები დასვენების პერიოდში რჩებიან ძირითადად 2 კვირით);
- ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (წყალ-კანალიზაცია, საგზაო ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით შიდა გზების პრობლემა,ელექტროენერგია, ტრანსპორტი);
- არასაკმარისი ტურისტული ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურული პროექტების გაჭიანურება (არ არსებობს ლიტერატურული კაფე, ეთნოგრაფიული სახლი, სახაჭაპურე, გასართობი ცენტრი);
- წაღვერის მთავარი სარეკრეაციო ზონა - პარკი ცენტრალური გზისპირზე მდებარეობს;
- მომსახურებისასორტიმენტი შეზღუდულია და მისი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია (ერთეული მაგალითების გარდა);
- კვალიფიციური კადრების დეფიციტი;
- ტურისტული შეთავაზების/პროდუქტის მინიმალური რაოდენობა და მისი ერთფეროვნება;
- წაღვერის თემის წევრების სუსტი კოოპერაცია ერთმანეთთან და ადგილობრივ მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობა, პასიურობა;

- გარე ჩარევაზე (მუნიციპალიტეტი, სხვადასხვა მიზნობრივი პროექტი) დამოკიდებულება;
- ტურისტული ინფორმაციის დეფიციტი;
- სამიზნე ბაზრის განუსაზღვრელობა;
- მცირე სესხების აღებასთან და დაბალი საპროცენტო განაკვეთის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები;
- დაბის სანიტარული პრობლემები; სანიტარული ნორმების არარსებობა;
- წიწვოვანების მასობრივი ხმობა;
- კურორტისნაკლები ცნობადობა ახალგაზრდებში.წაღვერს აკლდება დამსვენებლის ძირითადი სეგმენტი;
- კურორტი დღეს ნაკლებად პრესტიჟულია;
- განთავსების საშუალებებში უსაფრთხოების ნაკლებობა (იგულისხმობა 4 ტიპის უსაფრთხოების ზრდა: ენერგო, სახანძრო, ტურისტების პირადი და სანიტარული. წაღვერში მკვეთრად გამოიხატება სახანძრო და სანიტარული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები).

შესაძლებლობები:

- სეზონურობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად შეიძლება ზამთრის სეზონზე კურორტის ექსპლუატაცია ბაკურიანთან ბმაში (2023 Freestyle Ski and Snowboard World), რაც წაღვერის განვითარებასთან ერთად ბაკურიანის განტვირთვას უზრუნველყოფს;
- მცირე საწარმოების/საამქროების (სადურგლო, სამკერვალო, საკონდიტრო, სამრეცხაო) ან არაფორმალური გაერთიანებების, მიკრო ფერმების შექმნის პერსპექტივა;
- თემის დასახმარებლად მცირე ორგანიზაციების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მხარდაჭერა მუნიციპალიტეტისგან დაშეძლებენ შუამდგომლობას პრობლემების გადაჭრაში *(ღონღაძე, 2018).*

- პუნქტის გახსნა რძის შესაგროვებლად, ლაბორატორიის მოწყობა მისი შემოწმებისთვის;
- პროდუქტის ასორტიმენტის გაზრდა(სამკურნალო მცენარეებისა და ადგილობრივი პროდუქციის ბაზარზე გასატანად);
- განთავსების საშუალებების მფლობელებსა და ტურისტულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირის გამყარება. საოჯახო სასტუმროებში ადგილობრივი პროდუქტის/ადგილობრივი რეწვის პროდუქტის, ნაბეჭდი მასალის გავრცელება; ადგილზე წარმოებული სუვენირების წარმოჩენა, სასტუმროებში გაყიდვა;
- კვების ობიექტების გახსნა ადგილობრივი წარმოების პროდუქტების საფუძველზე;
- აგროტურიზმის განვითარება (მეფუტკრეობა, მეცხოველეობა), აგროტურისტული პროდუქტის შექმნა/შეთავაზება საოჯახო სახლების მიერ.
- ტურისტული სეზონის დაწყებამდე დასუფთავების აქციების მოწყობა;
- ტურიზმის სხვადასხვა სახეობის (ველნეს, სათავგადასავლო ტურიზმის, ჰოლისტიკური ტურიზმის) განვითარება;
- ფერმერის დღეების, ფესტივალების, დღესასწაულების მოწყობა. ადგილობრივების ყოფის ამსახველი ფოტო-გამოფენების, ხალხური რეწვის ვორქშოპების ჩატარება;
- ტურისტული მარშრუტების მარკირების სრულყოფა, ახალი ბილიკებისა და ხედვის წერტილების მოწყობა;
- ტურისტული ცენტრის მეშვეობით (შეიქმნა 2013 წელს, თუმცა სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს) ინფორმაციის ელექტრონული გავრცელება და მარკეტინგი;
- რეკრეაციული ზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ინფრასტრუქტურული მოწყობა (სარბენი ბილიკები პარკის ტერიტორიაზე

სპორტული აქტივობებისთვის, სახელოვნებო რეზიდენციის მოწყობა არტ ვილა „გარიყულას“ მაგალითი).

- საკემპინგე ადგილის გამოყოფა;
- ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მიმდებარე ტერიტორიებისთვის დაცული ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრა;
- თემის ტურიზმის სპეციალისტებთან, ტუროპერატორებთან ხშირი კონსულტაციები უნიკალური ტურისტული პაკეტების შესაქმნელად;
- წაღვერის გარშემო დასახლებების ქსელის განვითარება;
- ინტელექტუალური მომსახურების ხელშეწყობა;

საფრთხეები:

- ეკოლოგიური საფრთხეები (წაღვერის უნიკალური ტყისადმი უყურადღებობის შემთხვევაში კურორტი დაკარგავს „ფილტვებს“, ამავდროულად შეიძლება წარმოიშვას მეწყრული პროცესები დახრილ ფერდობებზე).
- თუ კურორტი ვერ აუწყობს ფეხს თანამდეროვე ტურიზმის მოთხოვნებსა და ტენდენციებს დარჩება დეპრესიულ რეგიონად;
- ეკონომიკური პირობების ცვლილება/გაუარესებისა დაპრობლემების გაღრმავების, ასევე კონკურენტი კურორტების გაძლიერების შემთხვევაში მოსალოდნელია დამსვენებელთა კონტინგენტის შემცირება;
- ბორჯომ-ბაკურიანთან ერთად რეგიონში ნელ-ნელა თავს იჩენენ ახალი აქტორებიც, მაგალითად, ვითარდება მიტარბი (ძირითადად ზამთრის სეზონი). მის ტერიტორიაზე მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვანი მწარმოებლის „დოპელმაიერის" სამი საბაგირო გზა დამონტაჟდა: მიტარბი I, მიტარბი II დამიტარბი III. მიტარბში გაჩნდა საშუალო, გამოცდილი და პროფესიონალი მოთხილამურეებისთვისა და სნოუბორდის მოყვარულთათვის სასრიალო

გზები (საერთო სიგრძით 10 კმ) *(MRDC)*. ამასთანავე სექტემბერში დაგეგმილია 100 ნომრიანი სასტუმროს კოხტა მიტარბი რუმსის გახსნაც *(Business Media Georgia, 2019)*. ეს ნიშნავს იმას, რომ ბაკურიანის განტვირთვა სწორედ მიტარბის ხარჯზე მოხდება, წაღვერი კი შეიძლება ჩრდილში მოექცეს.

- ვიზალიბერალიზაციის გავლენა დიდია ადგილობრივი კურორტების მონახულების შემცირებაში. რადგანაც პროცედურულად გამარტივდა ევროპაში მოგზაურობა და ამას ემატება იაფი რეისები ქუთაისიდან, სულ უფრო მეტი ქართველი ამჯობინებს ადგილობრივ კურორტებზე დასვენებას საზღვარგარეთის ქვეყნების მონახულებას. რომელთათვისაც კონკურენციის გაწევა წაღვერს გაუჭირდება.

SWOT ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ კურორტს ძლიერ მხარეებზე ბევრად მეტი სუსტი მხარე აქვს. სამაგიეროდ, დიდია წაღვერის შესაძლებლობების რიცხვი.

PESTEL -ანალიზი

იგი გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემოსა და საკანონმდებლო ანალიზს. დღეს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გარემო ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. საქართველოში სტაბილური პოლიტიკური ვითარებაა როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული ტურიზმის ხელშეწყობისთვის. ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში შედარებით რთულია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება და წინსვლას განიცდის, რეგიონებში მაღალია სიღარიბის, უმუშევრობის დონე. მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდილობს ქალაქში ჩამოსვლას ან ეძებს უფრო დიდ დასახლებებს, რათა იპოვოს სამუშაო. მსგავსი ვითარებაა წაღვერშიც, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ბორჯომსა და ბაკურიანშია გადასული სამუშაოს შოვნის მიზნით. ამასთანავე ადგილობრივი მთავრობა ბიუჯეტის დიდ ნაწილს ანაწილებს ისეთ ტურისტულ ცენტრებზე, როგორებიცაა: ბორჯომი და ბაკურიანი, წაღვერისა და სხვა კურორტების განვითარებისთვის თანხა აღარ რჩება. საქართველოს რეგიონებში დაბალია

ტექნოლოგიების განვითარების დონეც. ინოვაციური ტექნოლოგიები ძირითადად დიდ ქალაქებში (განსაკუთრებით დედაქალაქი) ვითარდება და რეგიონებამდე, მცირე დაბებამდე, როგორიცაა წაღვერი, ვერ აღწევს. ეს უარყოფითად მოქმედებს კურორტის განვითარებაზე, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს მეტი ტურისტის მოზიდვას. რაც შეეხება გარემოს, წაღვერში იდეალური ბუნებრივი გარემოა კურორტის სრულიდატვირთვით ფუნქციონირებისთვის. სიმშვიდე, ხელსაყრელი ჰავა და კეთილგანწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა წყნარ და ოჯახურ, სასიამოვნო გარემოს ქმნის. უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს პირობები, რომლებიც დასვენებისთვის შესაძლოა ხელისშემშლელი იყოს (წყლისა და სანიტარული პრობლემა). საკანონმედებლო მხარეს რაც შეეხება, იგი შედარებით ხელაყრელი და სტაბილურია ქვეყანაში კურორტის ფუნქციონირება-განვითარებისთვის.

თავი III. კურორტის განვითარების მიმართულებები

3.2. ძირითადი მიგნებები

მე-20 საუკუნის დასაწყისში წაღვერს ძირითადად ინტელიგენცია სტუმრობდა. 1915-1917 წლებში აქ ისვენებდნენ მწერალი ქალები სოფო მგელაძე და კატო მიქელაძე, ახალგაზრდა მწერლები - „ცისფერყანწელები“: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე. ამ პერიოდში პარკის გვერდით, ვარდენ კიკნაძემ საზაფხულო სასტუმრო „სინათლე“ ააშენა, და თიხის მილებით მიიყვანა წყაროს წყალი. სასტუმროს გვერდით აშენდა საზაფხულო თეატრი, სადაც წარმოდგენებს მართავდნენ დიდი კორიფეები (ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი). იმართებოდა დიდი საკონცერტო საღამოები, ტარდებოდა იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საღამო. კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის დახმარებით ბავშვებისთვის იმართებოდა საკონცერტო დილები, საბავშვო ოპერეტები. სწორედ წაღვერის პარკში დაიწერა დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“. ზაფხულობით ისვენებდნენ ზ. ფალიაშვილი, მარიჯანი და სხვები *(აბაშიძე, 2010)*. ამრიგად მე-20 საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოებამდე წაღვერი იყო მიმზიდველი სააგარაკო დასასვენებელი ადგილი. მისი ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორების შესწავლა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ დროს გახდა იგი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი და სადაბო საბჭოს ცენტრი (შედიოდა სოფლები: დაბა, მზეთამზე, ტიმოთესუბანი). გასაბჭოების შემდეგ, წაღვერი პრესტიჟული სააგარაკო ადგილიდან უფრო საშუალო კლასის ოჯახურ კურორტად იქცა. საბჭოთა პერიოდში არსებობდა კურორტების 3 კატეგორია: საკავშირო (ყველაზე მაღალი რანჟირების, მაგ., ბორჯომი), რესპუბლიკური (ბაკურიანი, წაღვერი, პატარა ცემი და სხვა) და ადგილობრივი მნიშვნელობის (ტბა, ციხისჯვარი, ახალდაბა, ქვიშხეთი და სხვა) *(ყუფარაძე, 2019)*. ამ მხრივ წაღვერს შუალედური ადგილი ეკავა. იგი იყო არა საკავშირო (როგორც ბორჯომი თუ წყალტუბო) მნიშვნელობის კურორტი, არამედ რესპუბლიკური მნიშვნელობის. წაღვერში საკავშირო მნიშვნელობის სტრუქტურებიც არ არსებობდა. მისი ძირითადი დამსვენებელი ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, რომელიც შეზღუდული ბიუჯეტით ე.წ. ეკონომიურ კონტინგენტს განეკუთვნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ წაღვერში არ იყო ე.წ. მე-4 სამმართველო, რომელიც ცეკას

თანამშრომლებს ემსახურებოდა, რაც ე. წ. ლაკმუსის ქაღალდს წარმოადგენდა, იმის დასადგენად, იყო თუ არა კურორტი ელიტარული. განთავსების ეს საშუალება ყველა ელიტარულ საბჭოთა კურორტებზე მდებარეობდა. შესაბამისად წაღვერი არ ითვლებოდა პრესტიჟულ დასასვენებელ ადგილად საბჭოთა პოლიტიკური ელიტისათვის და მისი ძირითადი დამსვენებელი საშუალო ან დაბალი კლასის ოჯახები და იმ სამედიცინო ჩვენებების მქონე პირები იყვნენ, ვისთვისაც წაღვერი მკურნალობის აუცილებელ ფაქტორს ფლობდა. აქ ფუნქციონირებდა სანატორიუმი „კეჩხობი“ -700 ადგილით, რომელიც გათვლილიიყო 4-15 წლის ბავშვებზე. წაღვერი მაისიდან ნოემბრამდე იღებდა დამსვენებლებს. განსაკუთრებით დატვირთული იყო ზაფხული (ეწყობოდა პიონერთა ბანაკები). იგი იყო ცნობილი კურორტი, თუმცა მასშტაბებით, რა თქმა უნდა, ბორჯომსა და ბაკურიანს ვერ შეედრებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს კურორტები მთელი წლის მანძილზე იღებდა დამსვენებლებს, ხოლო წაღვერი - მხოლოდ 6 თვე. შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში წაღვერს ეკავა ბავშვთა და საოჯახო კურორტის ნიშა *(კვარაცხელია, 2019)*. იგი იყო ცნობილი კურორტი, თუმცა არ იყო ფეშენებელური დასასვენებელი ადგილი.

საბჭოთა პერიოდში ბორჯომის ხეობა ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა და განიხილებოდა ერთიან საკურორტო-სამეურნეო ერთეულად, როგორც აგარაკებით, აგრეთვე სატყეოთი და ყველა იქ არსებული წარმოებით. ამიტომ კვლევის პროცესში რთული იყო ცალკე წაღვერზე ან ცემზე თუ სხვა შემავალ ერთეულებზე ბევრი ინფორმაციის მოპოვება, ვინაიდან ბორჯომის ხეობის კურორტები კომპლექსურად განიხილებოდნენ ძველ დოკუმენტებში. დღეს ზემოთაღნიშნული მთლიანობა თითქოს დარღვეულია. ბორჯომის ხეობაში არსებული კურორტებიდან ძირითადი ყურადღება ბორჯომსა და ბაკურიანზე მოდის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის თანხებიც ძირითადად ამ ორი კურორტის განვითარებაზეა ორიენტირებული. ხმარებიდანაც თითქოს ამოღებულია ბორჯომის ხეობის კურორტების სახელწოდება. ამის ნაცვლად სულ უფრო ხშირად იყენებენ ცალკეული კურორტების სახელებს. შესაბამისად, აღარ არის ერთიანი მუდმივი აპარატი, რომელიც ზრუნავდა კურორტების აღმშენებლობაზე, თუმცა დღეს

კურორტებს შესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებლად განვითარდნენ და გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა, ერთ საკურორტო ერთეულთან გვქონდა საქმე, თუ რამდენიმესთან, ბორჯომი იყო და რჩება ამ მხარის ცენტრი და სხვა მცირე კურორტები ვერც ადრე და ვერც დღეს უწევენ მას ამ მხრივ კონკურენციას.

ამჟამად, 21-ე საუკუნეში, მიუხედავად თავისი დიდი ტურისტული პოტენციალისა, წაღვერი მზარდ ტურისტულ ბუმს ფეხს ვერ უწყობს. ქვეყანაში ტურიზმის განვითარება წაღვერზე ნაკლებად აისახება. ბორჯომი და ბაკურიანი კვლავაც უფრო მოწინავე ადგილს იკავებს მოსახლეობისთვის ტურისტული დესტინაციის არჩევის დროს. ინვესტიციებიც პირველ რიგში ამ ორ კურორტზე მოდის. ლიკანი პრაქტიკულად აღდგენილია, იქ მდებარეობს „რიქსოს“ ახალი სასტუმრო და შენდება კიდევ ახალი განთავსების საშუალებები, ამიტომ რაღაც კუთხით, შეიძლება ითქვას, რომ წაღვერი მეზობელი კურორტების ჩრდილში მოექცა. მან დაკარგა ძირითადი სეგმენტი- ის ხალხი (საშუალო და დაბალი ფენა), ვინც ადრე ჩადიოდა, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში მათ უწყება უხდიდა თანხას და ახლა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავად უწევთ თანხების მოძიება, შესაბამისად, გარანტირებელი დამსვენებლი წაღვერს აღარ ჰყავს *(ხელაშვილი, 2019).*

უამრავი გადაუჭრელი პრობლემა ხელს უშლის დაბის განვითარებას და აქ მეტი დამსვენებლის მოზიდვას. ამჟამად ფუნქციონირებს ბავშვთა სანატორიუმი, რამდენიმე საოჯახო სასტუმრო და გესთჰაუსი. წაღვერის თემს გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სრულყოფილ კურორტად. მას აქვს კურორტის ფუნქციონირებისთვის მთავარი რამ - ბუნებრივი ბაზა, თუმცა აუცილებელია არსებული პრობლემების გადაჭრა (სასმელი წყალი, ტურისტული ინფრასტურა, სერვისების ნაკლებობა, ადგილობრივი მთავრობის უყურადღებობა და ა.შ.) და არსებული რესურების სრულად ათვისება. ამ საბაზისო პრობლემების გადაჭრის გარეშე კურორტის რეაბილიტაცია ვერ განხორციელდება. რა თქმა უნდა, წაღვერის სრულფასოვნად აღორძინებას დიდი თანხები სჭირდება და, აღნიშნული თანხები, შესაძლოა,

მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდეს. ამიტომ საჭიროა მცირედით დაწყება და სწორი მენეჯმენტი ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემის მხრიდან, რადგან კურორტის მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადილობრივი მოსახლეობისა და მმართველობითი ორგანოს მჭიდრო კავშირი, თემს არ შეუძლია საკუთარი ძალებით არსებული პრობლემების მოგვარება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წაღვერს თავისი ნიშა ჯერ ვერ უპოვია. ამიტომ აუცილებელია მან სწორად შეარჩიოს ის. ვინაიდან ეკონომიკური საქმიანობა დაბაში ძალიან შეზღუდულია, ფინანსების მოზიდვაში ტურიზმი შეასრულებდა „ეკონომიკური წამლის“ როლს *(ხელაშვილი, 2019)*. წაღვერის დამსვენებელთა ძირითადი სეგმენტი იყო და უნდა დარჩეს ეკონომიური, საშუალო და საშუალოზე დაბალი ფენის ოჯახები (საოჯახო დასვენება) და მკურნალობა-გაჯანსაღებისთვის ჩამოსული შედარებით დაბალბიუჯეტიანი დამსვენებლები. დამატებით სეგმენტად შეიძლება განვიხილოთ ე. წ. ბექფექერი, ზურგჩანთით მოხეტიალე, ტურისტებიც. ასევე შესაძლოა გამოიყოს ე.წ. ტურისტების კატეგორია „გაიხსენე საქართველო“ *(ხელაშვილი, 2019)* ან „გაიხსენე წარსული“. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცის მოქალაქეები და ადგილობრივი მოსახლეობა (მათ შორის აფხაზეთიდანაც), რომლებიც ადრე სტუმრობდნენ საქართველოს, კურორტ წაღვერს და აკავშირებთ გარკვეული მოგონებები ამ ადგილებთან. დღეს ტურისტული ნაკადები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოში (მათ შორის წაღვერშიც) არ წყდება. ზოგიერთ დამსვენებელს ახსოვს ეს ტურისტული ზონა, ზოგს დარჩა მეგობრები, ნათესავები და ა.შ. აღნიშნული სეგმენტის დამსვენებლების მოზიდვის შემთხვევაში წაღვერი იპოვის თავის ადგილს ბაკურიანსა და ბორჯომს შორის. რა თქმა უნდა, წაღვერი ვერ შეძლებს გაუწიოს კონკურენცია ამ ორ ცნობილ კურორტს, ამიტომ იგი მეტად უნდა მიებას მათ ჯაჭვს, გააძლიეროს კავშირები მათთან და მის ირგვლივ მდებარე სხვა კურორტებთან თუ სოფლებთან. ბორჯომ-ბაკურიანის კლასტერში ჩართვა, წაღვერს, როგორც სისტემის ნაწილს, შესაძლებლობას მისცემს ისარგებლოს ბორჯომ-ბაკურიანის ინფრასტრუქტურითა და ბაზრით. ხოლო კურორტის ინდივიდუალურობა, ბაკურიანისგან და ბორჯომისგან განსხვავებულობა

უნდა გამოიხატოს ბიზნესის ინდივიდუალობაში, მომსახურების უნიკალურობასა და ტურისტების სეგმენტში. წაღვერი სისტემაში უნდა განვიხილოთ, მაგრამ ამ სისტემაში უნდა გააჩნდეს თავისი ადგილი. მან უნდა გამოიყენოს ბორჯომთან და ბაკურიანთან შედარებით თავისი ძლიერი მხარე: ეკონომიურობა, სიიაფე. ვინაიდან ბორჯომი და ბაკურიანი შედარებით სახელოვანი კურორტები არიან, იქ მაღალი ფასებია, რომელთა ფონზე წაღვერს შეუძლია დამსვენებლის გარკვეული კატეგორიის მიზიდვა.

3.3 ტურიზმის ინოვაციური და მომგებიანი მიმართულებები

წაღვერში შეიძლება ტურიზმის მთელი რიგი ახალი მიმართულებების განვითარება. თუმცა თითოეული მათგანის დანერგვას ესაჭიროება სათადარიგო ღრმა კვლევა, ანალიზი, დატესტვა, დესტინაციის სპეციფიკის გათვალისწინება. ამიტომ ნაშრომში შემოთავაზებული იქნება ის მიმართულებები, რომელთა განვითარების პოტენციალიც კურორტს რეალურად გააჩნია.

აუცილებელია, წაღვერს თავდაპირველად აღვუდგინოთ ძველი, პირვანდელი პროფილი. მისი მაპროფილებელი, წამყვანი ფუნქცია შეიძლება იყოს სამკურნალო (Health) და გამაჯანსაღებელი (Wellness) მიმართულება, რადგან წაღვერი განთქმული იყო თავისი სამკურნალო თვისებებით, უნიკალური წყლებითა და ჰაერით. სწორედ მათი ადამიანის ორგანიზმზე დადებითი ზეგავლენის გამო, აუცილებელია აღნიშნული სფეროს რეაბილიტაცია და მხოლოდ მას შემდეგ საუბარი სხვა მიმართულებების განვითარებაზე. კურორტი ამ მხრივ უკვე შესწავლილია და მას აქვს ექსპლოატაციის ხანგრძლივი ისტორია, რაც ბევრად უფრო აადვილებს შემდგომი მუშაობის პროცესს.

ამავდროულად შესაძლებელია ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში სპორტის სახეობების დანერგვა, ბანაკების ორგანიზება. სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებების (ველო ტურები, საფეხმავლო, შემეცნებითი ტურები, საცხენოსნო ტურიზმი, კლდეზე ცოცვა), სპირიტული და ჰოლისტიკური ტურიზმი, საფესტივალო ტურიზმის, ეკო-ტურიზმის, აგროტურიზმის, ველური და სამკურნალო ყვავილებისა და

სახეობების განვითარება. ეს ყოველივე იქნება უფრო დამატებითი, სეზონთაშორისო ცვალებადობის გაწონასწორებისკენ მიმართული ფუნქცია. ამავდროულად წაღვერში შესაძლებელია ზამთრის ტურიზმის გარკვეული სახეობების განვითარებაც.

ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით ყველაზე მომგებიანია MICE (Meetings, incentives, conferences and exhibitions) *(Figueroa, 2019)* ტურიზმის მიმართულება, თუმცა იგი ცნობილია მომთხოვნი კლიენტებითა და ექსტენსიური დაგეგმვით. მისი განვითარებისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურისადა სასტუმროთა მენეჯმენტის სრულყოფა. ამიტომ აღნიშნული ტურიზმის სახეობა სამომავლოდ უნდა გადაიდოს.

სამკურნალო (Health) და გამაჯანსაღებელი (Wellness) ტურიზმი

სამკურნალო ტურიზმის ქვეშ იგულისხმება ტურიზმის ისეთი ფორმები, რომელთა მიზანია ფიზიკური, გონებრივი და/ან სულიერი ჯანმრთელობის ხელშეწყობა გამაჯანსაღებელი (ველნეს) ღონისძიებების შედეგად და რომლებიც ზრდიან ადამიანთა შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები და იფუნქციონირონ უკეთესად *(ყუფარაძე, 2018).* Wellness ტურიზმის ყველაზე პოპულარული მომსახურებები და დაწესებულებებია: სილამაზის სპა-ცენტრები, წყლის პროცედურებით მკურნალობა და სულიერი განმარტოება: მედიტაცია, იოგა, ტაიჩი, ფიტნესი და აქტიური ცხოვრების წესი ჯანმრთელ კვებასთან, დიეტასთან და ბუნებრივ სამკურნალო ფაქტორებთან ერთად. ველნეს ტურისტების ძირითად მოტივაციას წარმოადგენს პრევენციულ, პრო-აქტიურ, ცხოვრების წესის გასაუმჯობესებელ აქტივობებში მონაწილეობა, სხეულის მოვლისა და სამკურნალო პროცედურების ჩატარება. ველნეს ტურიზმის თვისებაა ის, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია იმ მომსახურებაზე, რასაც განავითარებ. წაღვერი და მასში შემავალი ერთეულები ამ ტიპის ტურიზმის განვითარებისთვის შესანიშნავ ადგილებს წარმოადგენს. აქ გვხვდება ძვირფასი სამკურნალო წყლები: ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი (ტიმოთესუბანში), ნახშირმჟავა-რკინიან-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმიანი (წაღვერი, ტბა). ამავდროულად ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმცირე არ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ ტიპის ტურიზმისთვის, ვინაიდანსამკურნალო,

გამაჯანსაღებელი მიზნებით ჩამოსული დამსვენებლები (მათ შორის ბავშვიანი ოჯახები) ნაკლებად მიილტვიან ხმაურისკენ, გართობისკენ, ბევრი ხარჯებისკენ და ისეთი ინფრასტრუქტურისკენ, რომელიც ჩვეულებრივ მიმზიდველია (ღამე გართობა, რესტორნები, კლუბები, დისკოტეკები, სამორინეები და ა.შ.) *(ხელაშვილი, 2019).*

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, დღესაც და უახლოეს 20-30 წელიწადში სამკურნალო ტურიზმი (სამედიცინო ტურიზმი და ველნეს ტურიზმი) მსოფლიოში იქნება ტურიზმის ყველაზე სწრაფადგანვითარებადი სახე. თუ ტურიზმი საშუალოდ იზრდება 3%-ით, სამკურნალო ტურიზმი 2-ჯერ მეტად იზრდება (6 %-ით) *(ყუფარაძე, 2019).* წაღვერში სწორედ აღნიშნული მიმართულება უნდა გახდეს მაპროფილებელი. აქ შესაძლებელია კოსტა-რიკას მაგალითის გადმოტანა, სადაც ძალიან სწრაფად ვითარდება სათავგადასავლო სპა (adventure spa). ამის ბუნებრივი შესაძლებლობები და პოტენციალი წაღვერს აქვს, მითუმეტეს, ბოლო წლების ტრენდი სამკურნალო ტურიზმსა და სპა ინდუსტრიაში ასე ჟღერს „უკან ბუნებისაკენ“ *(ყუფარაძე, 2019).* ვინაიდან მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის საკითხები უფრო პრიორიტეტული ხდება, შესაძლებელია, საერთაშორისო დონეზე გასვლა. წაღვერმა შეიძლება დაიმკვიდროს მშვიდი საოჯახო-გამაჯანსაღებელი კურორტის სახელი. ტურიზმის ამ სახეობის განვითარება მომგებიანი და მიმზიდველია არამარტო წაღვერისთვის, არამედ ქვეყნისთვის, ვინაიდან მოითხოვს გარკვეულ კვალიფიციას და ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული. ამავდროულად ასეთი დამსვენებლების დარჩენის ვადა უფრო ხანგრძლივია (2 კვირა მაინც), შესაბამისად, მეტია შემოსავალი და ვითარდება ე. წ. ლოიალური სეგმენტი, ანუ იმ ხალხის რაოდენობა, რომლებიც განმეორებით ჩამოვლენ *(ხელაშვილი, 2019).*

ველნესის განვითარების პროცესში წაღვერმა შეიძლება გამოიყენოს კნაიპპ კურორტების (Kneippkurort) ანალოგი. ამ სისტემის აბაზანები და კურორტები მოიცავს მთელ გერმანიას ბალტიის ზღვიდან ალპებამდე და აიფელიდან - საქსონიამდე. ეს ბალნეოკურორტები სარგებლობს ბავარიელი მღვდლის, სებასტიან კნაიპპეს (1821-1897) მეთოდით, რომელმაც

გაითქვა სახელი, ცივი აბაზანებით უებარი მკურნალობით. ის წყლის სამკურნალო თვისებების გამოყენებით კურნავდა ტუბერკულოზით დაავადებულებს *(კვარაცხელია, 2019).* ვინაიდან წაღვერის წყლებიც ცივია, შესაძლებელია მათი კნაიპეს მეთოდით გამოყენება, მით უმეტეს, რომ ზოგი დამსვენებელი აბაზანებს ისედაც ღებულობს ცივი წყლით (მეორე მჟავე წყაროდან, ძირითადად სახსრებისთვის). ამავდროულად სააბაზანო ტურიზმის განვითარებისთვის შესაძლოა მათი გათბობაც და ცივი და ცხელი აბაზანების მონაცვლეობა. წაღვერში შესაძლებელია განვითარდეს თერაპიული რეკრეაცია (დაავადებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სოციალურ აღდგენისკენ არის მიმართული). ასევე კურორტის გამოყენება შეიძლება სარეაბილიტაციოდ *(ყუფარაძე, 2018).*

მიუხედავად იმისა, რომ წაღვერში მნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორებია, სამედიცინო ტურიზმის აქ განვითარება უნდა გადაიდოს, აუცილებელი სამკურნალო ინფრასტრუქტურის, შესაბამისი სერვისის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, არარსებობის გამო. შესაფერისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდეგ იქნება პერსპექტივა სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვისაც.

აუცილებელია კურორტოლოგიის დარგის გაუმჯობესებაც, რომელიც წარსულში ძალიან კარგად მუშაობდა. მაგრამ ამას სჭირდება დიდი ინვესტიციები. წაღვერში სამკურნალო წყაროების შესახებ დილეტანტური ცოდნა აქვთ. ადრე მჟავე წყლებთან მორიგეობდა სამედიცინო პერსონალი და კონსულტაციებს უწევდა დამსვენებელს. დღეს მჟავე წყლებს არ უწერიათ ინსტრუქცია (გამონაკლისია პირველი წყარო). ადგილობრივები გეტყვიან, რომ წყალი შველის რიგ დაავადებებს, თუმცა არის შემთხვევები, როცა წყალი ამ ჩვენებებს არ შეესაბამება. მისი განმეორებითი ბალნეოლოგიური კვლევები დიდი ხანია არ ჩატარებულა, რაც ხელს შეუწყობდა მისი პოტენციალის უკეთ გამოყენებას.

სპირიტული ტურიზმი და ჰოლისტიკური ტურიზმი

სპირიტული ტურიზმი ფოკუსირებას ახდენს მაღალი აზრის ძიებაზე, საკუთარ თავთან და სამყაროსთან კავშირზე და შემეცნებისთვის მიუღწეველ საკითხებზე. ეს შეიძლება მოიცავდეს სპირიტული ობიექტების, ლანდშაფტების, ან განმარტოების ადგილების მონახულებას, ასევე ისეთ აქტივობებს, როგორიცაა იოგა და მედიტაცია *(ყუფარაძე, 2018).* იგი შეიძლება განვიხილოთ ველნეს ტურიზმის შემადგენელ ნაწილად. ბევრი ტუროპერატორი სულ უფრო ხშირად, სთავაზობს მომხმარებელს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია არარელიგიურ სულიერ პრაქტიკასთან.

ჰოლისტიკური ტურიზმი დაფუძნებულია ალტერნატიული და დამხმარე მკურნალობისა და გაჯანსაღების პროცედურებზე და მიმართულია სხეულის, გონებისა და სულის ბალანსისაკენ. ძველ საბერძნეთში ჰოლიზმი ნიშნავდა ჰარმონიას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის. ჰოლისტიკური მედიცინა ყურადღებას აქცევს მკურნალობის როგორც ჩვეულებრივ (ალოპათიურ), ისე დამატებით (ალტერნატიულ) მეთოდებს. ჯანმრთელობისადმი ჰოლისტიკური მიდგომა შეიძლება მოიცავდეს თერაპიისა და მკურნალობის კომბინაციას *(ყუფარაძე, 2018).*

წაღვერის ბუნებრივი ფაქტორები, ხედები, სიმაღლე ზღვის დონიდან, სიმშვიდე და აუთვისებლობა საშუალებას იძლევა, აქ სულიერი პრაქტიკების ჩატარებისთვის. წაღვერის პარკში შესაძლებელია იოგას სხვადასხვა სახეობით დაკავება, სუნთქვის ვარჯიშების შესრულება, მედიტაცია. კურორტის მშვიდი გარემო კარგ საშუალებას იძლევა ჰოლისტიკური განმარტოებისთვის. ამავდროულად აქ არსებობს რესურსი თერაპიისა და მედიცინის ალტერნატიული სახეობების (ხალხური მედიცინა, სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა) განსავითარებლად *(ყუფარაძე, 2018).*

საბავშვო ახალგაზრდული ბანაკები (სპორტული ჯგუფები)

წაღვერში არის პოტენციალი იმისთვის, რათა მთელი წლის განმავლობაში ჩატარდეს საბავშვო და სტუდენტური ბანაკები. კეჩხობში არსებობსპანტიონატი ბავშვებისთვის, სადაც ძირითადად სპორტული ბანაკები ეწყობოდა. იგი დღესაც ფუნქციონირებს.

შესაძლებელია ახალგაზრდული ბანაკების, ახალგაზრდული გართობის ცენტრების ორგანიზება ხანგრძლივი დროის პერიოდით 15-20 დღით საინტერესო პროგრამებით, რომლებიც არ საჭიროებს მაქსიმალურად კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურას, არამედ საკმარისია მხოლოდ კარგი პროგრამა მონაწილეთა აქტიური ჩართვისთვის, საშუალო 1 ვარსკვლავის დონეზე საცხოვრებელი, კოტეჯი, ხის სახლი და კარგი ტურისტული მარშრუტები.

წაღვერის კლიმატი დადებითად მოქმედებს ბავშვთა ზრდა-განვითარებაზე და აქ არის გამა გამოსხივება, რომელიც განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მოზარდების ძვალ-ხრტილოვანი სისტემის ჩამოყალიბებაზე და სასუნთქი სისტემისთვისაა ეფექტური. ფიჭვნარი გამოყოფს ფიტონციდებს, რომლებიც დეზინფექციას უწევს მთელ სასუნთქ-სისტემას, განსაკუთრებით ბრონქებს, ამიტომ ხშირად ზღვისპირეთიდან ჩამოჰყავთ ასთმით შეწუხებული მოზარდები და მესამე წელიწადს უკვე სრულიად განკურნებულები არიან *(გელაშვილი, 2019)*. სწორედ ასეთი ჩვენებების გამო, საბჭოთა წლებიდან კეჩხობი ცნობილი იყო, როგორც ბავშვთა დასასვენებელი ადგილი. აქ ჩატარებული ღონისძიებები გაჯანსაღებისკენ და ბავშვთა ფიზიკურ განვითარებისკენ იყო მიმართული. ამ ღონისძიებების საფუძველს წარმოადგენდა მოძრავი თამაშები ბავშვებისთვის მეხსიერების, სმენის, მხედველობის, მოძრაობის განვითარებისთვის. ორგანიზებულად ტარდებოდა ბავშვთა კინოფილმების დემონსტრაციები. პანსიონატში არსებობდნენ აღმზრდელებიც, რომლებიც ბავშვებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას მუსიკალურ, ლიტერატურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში.

წაღვერის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ბანაკების მოწყობა მთელი წლის განმავლობაში შეიძლება, თუმცა მკურნალობა-გაჯანსაღებისთვის საუკეთესო პერიოდია მაის-ივნისში. ამ დროს აყვავებას იწყებს ნაძვი, ფიჭვი, სწორედ მათი მტვერია ზედა სასუნთქი სისტემის დაავადებათა ერთ-ერთი წამყვანი სამკურნალო ფაქტორი. ბავშვებისთვის წიწვიან ტყეებში სეირნობა, მათი მტვერის სუნთქვა ძალიან სასარგებლოა.

სათავგადასავლო ტურიზმი

სათავგადასავლო მოგზაურობად ჩაითვალება ისეთი ტურისტული აქტივობა, რომელიც შედგება ფიზიკური აქტივობისგან, კულტურული შემეცნებისგან და ბუნებასთან სიახლოვეს გულისხმობს. ჩვეულებრივ, ეს არის არასტანდარტული ტური ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივ გარემოში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს უჩვეულო მოგზაურობებთან და ტრანსპორტის არატრადიციულ სახეობებთან *(ჟვანია, 2013)*. წაღვერმა უფრო სრულად უნდა გამოიყენოს არსებული ბუნებრივ-ლანდშაფტური რესურსი. სათავგადასავლო ტურიზმი ტურიზმის ის სახეობაა, რომელმაც შეიძლება ახალგაზრდა სეგმენტი მოაბრუნოს წაღვერში. შესაძლოა განვითარდეს ველოტურიზმი, სამთო ველოტურიზმი (Mountain biking), საფეხმავლო და შემეცნებითი ტურები (ისეთი მარშრუტებით, რომლებიც თემის შიგნით არსებული რესურსების ათვისებას შეუწყობს ხელს).

ველოსპორტის პერსპექტივა

ბაკურიანი სულ უფრო მეტად უახლოვდება 4 სეზონიანი კურორტის პარამეტრებს. ეს წაღვერს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად ჩაერთოს და მიებას მის ტურისტულ ქსელს. ბაკურიანში სამთო ველოსიპედებისთვის სხვადასხვა სირთულის ტრასა ფუნქციონირებს: ორი ბილიკი დამწყებთათვის (2091 მ., 19639 მ.), ორი ბილიკი მოყვარულთათვის (1062 მ., 2962მ.) და ერთი რთული ბილიკი პროფესიონალთათვის (2279 მ). ველობილიკი დიდველის ზედა სადგურიდან იწყება, მარშუტებს საძოვრებისა და ტყის გავლით განაგრძობს და იმავე გონდოლას ქვედა სადგურთან სრულდება. მისი საერთო სიგრძე 6 000 მეტრზე მეტია *(MRDC)*. ბაკურიანში ასევე არსებობს უნარ-ჩვევების პარკი (ველოპარკი). კარგი იქნება, რომ ველობილიკი გაგრძელდება წაღვერისკენ. ეს დიდ შესაძლებლობას მისცემს როგორც წაღვერის მაცხოვრებლებსა თუ ტურისტებს, რომ მოაწყონ ველო მსვლელობები ბაკურიანის მიმართულებით, ისე პირიქით - ბაკურიანის დამსვენებლებსაც მისცემთ შესაძლებლობას გაეცნონ მეზობელ დაბას და აითვისონ ახალი ტერიტორიები ხშირად ველომოყვარულები აწყობენ ტურებს ბაკურიანიდან დიდი მიტარბის და პატარა მიტარბის გავლით, შემდეგ ჩამოდიან წაღვერში და მერე მიდიან ბორჯომისკენ. ეს არის

საკმაოდ გრძელი და დამღლელი გზა. ამიტომ კარგი იქნებოდა წაღვერში რომ ყოფილიყო ცენტრი, თუნდაც, ველოსპორტით დაკავებულთათვის. პატარა საკემპინგე ადგილი, ან მოსასვენებელი ადგილი, სადაც ტურისტები მიირთმევდნენ ყავას, შეაკეთებდნენ ველოსიპედს, მოიკრეფდნენ ძალებს. წაღვერში შეიძლება მოტო ტურების ჩატარებაც, მაგრამ ვინაიდან ეს გამოიწვევს ცენტრალური გზის კიდევ უფრო გადატვირთვასა და ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას (გარემოს დაბინძურებას), აღნიშნული სახეობის განვითარება ჯობს გადაიდოს. ამ მხრივ ველოსპორტი უფრო მიმზიდველია, ვინაიდან ველობილიკები ერთიანად იზიდავს როგორც პროფესიონალ, ასევე მოყვარულ ველომრბოლელებს. ისინი არ გადაკვეთს ცენტრალურ გზებს, ველობილიკებზე გადაადგილება არ აზიანებს ეკოგარემოს. წაღვერის რელიეფიდან გამომდინარე არის პირობები დაუნჰილის განვითარებისთვისაც. დაუნჰილი არის სპორტი, რომელშიც ერთმა ან რამდენიმე, მრავალმა მოწილემ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა. ისინი ველოსიპედებით ეშვებიან მთის ციცაბო ფერდობებიდან.

საფეხმავლო, სალაშქრო და შემეცნებითი ტურები

წაღვერში მსურველებს შეუძლიათ დალაშქრონ უზნარიანის ციხე (მარშრუტი 3.5 კმ), ეიფელის ხიდი და დაბის წმინდა გიორგის ეკლესია (მარშრუტი 10 კმ), მთები გვირგვინა (მარშრუტი 22 კმ) და თორტიზა (მარშრუტი 12.5 კმ) და ა.შ. მონიშნულია სხვადასხვა სირთულის სალაშქრო ბილიკები. ხეტიალის მსურველებს შეუძიათ ნახონ პანორამული ხედვის წერტილები, საიდანაც ლამაზი ხედები იშლება. წაღვერის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პერსპექტივების ფონზე დღეს არსებული სალაშქრო ბილიკების რაოდენობა მინიმალურია და მათი რიცხვის გაზრდა ათეულამდე შეიძლება, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბილიკების გამოყენება (დაძლევა) შეუძლია ნებისმიერი ასაკის ადამიანს იქიდან გამომდინარე, რომ ბილიკის დახრილობა მერყეობს 10-20^0-მდე, სიგრძე-1-2კმ-მდე. ამ მანძილის გაზრდა შეიძლება რამდენიმე კილომეტრამდე. შესაძლებელია უფრო მასშტაბური ლაშქრობებისა და კულტურული ტურების მოწყობა. წაღვერი შეიძლება გახდეს „ტურისტული თავშესაფარი“ *(ხოშტარია, 2019)* და ძამას ხეობაში გადასასვლელი.

წაღვერის გზის გაყოლებაზე ტიმოთესუბნიდან 30 კმ-ში გადის მდინარე გუჯარეთისწყლის ხეობა, რომელიც ესაზღვრება შიდა ქართლს. აქ არის 2 სტრატეგიული გადასასვლელი - ისტორიული გზა. ერთი გადადის სოფელ ტიმოღნიდან ძამის ხეობაში - ქარელში (ძამის ხეობა ძალიან პოპულარული ხდება ბოლო პერიოდში ბატეთის ტბის ტურებისა და ეკლესია-მონასტრების სიმრავლის გამო). შესაძლებელია ამ მარშრუტის წაღვერთან მიბმა. მეორე გზა ისევე გუჯარეთისწყლის ხეობის გავლით გადადის ატენის ხეობაში (გორიდან 10კმ). აქაც ძველი ისტორიული გზა იყო. ადრე ქვედა გზა არ არსებობდა, რომლითაც ახლა სარგებლობენ წაღვერის მაცხოვრებლები, ე. წ. მტკვრის გზა, მისი გაყვანა მე-19 საუკუნეში დაიწყეს *(ხოშტარია, 2019)*. ისტორიული ძველი გზები კი სწორედ ამ ხეობებზე გადადიოდა. ატენშიც კარგად ვითარდება ტურიზმი, ამიტომ შესაძლებელია ფართომასშტაბიანი ტურების ორგანიზება. წაღვერში შეიძლება ტურის დაწყება, ან მოსასვენებელი ადგილის მოწყობა (ახალგაზრდული ტურისტული თავშესაფარი). ეს შეიძლება იყოს დასაბანაკებელი ადგილი, რომელიც საინტერესო იქნება თავგადასავლების მოყვარულთათვის.

ვინაიდან წაღვერში არსებობს საინტერესო კულტურული ატრაქციები, შესაძლებელია შემეცნებითი, კულტურული ტურების დაგეგმვაც, რომელთა ფარგლებშიც ტურისტები დაათვალიერებენ ტიმოთესუბნის მონასტერს, მარიჯანის სახლს, ძველ წაღვერულ სახლებს (მე-19 საუკუნის ან ზოგი მე-20 ს-ის დასაწყისის). ამასთანავე შესაძლებელია ბორჯომში გადასვლა და ლოკალური, წრიული ტურების მოწყობა. მაგალითად, ტური წაღვერიდან ბორჯომში (იქ მუზეუმის მონახულება, პარკის მონახულება, შემდეგ წრიულადტყიდან მეორე ამოსასვლელით პლატოზე სერაფიმე საროველის მონასტრის დათვალიერება, აქ არის ლამაზი ბუნება, სადგერის გზა. შემდეგ ისევ წაღვერში დაბრუნება მჟავე წყლის პარკში). ვინაიდან ამ მხარეში მდებარეობს თორი, შესაძლებელია სამცხე ჯავახეთის მსხვილი ტურების დაგეგმვაც წაღვერის გავლით. ზაფხულში არის ტაბაწყურზე გადასასვლელი და შეიძლება ნინოწმინდაში და ახალქალაქში მოხვედრა. ბორჯომის ხეობა ტურისტებისთვის ძალიან საინტერესოა. აქ უამრავი ისტორიული მნიშვნელობის ადგილია. სოფელ ლიკანის უძველესი მონასტერი, კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი

ვარძია, ბორჯომის ჰიდროელექტროსადგური (რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური, მდინარებორჯომულაზე), რომანოვების დიდებული სასახლე. აღნიშნული რესურების გათვალისწინებით, შესაძლებელია საინტერესო შემეცნებითი ტურების (ერთდღიანი ან უფრო ხანგრძლივი) დაგეგმვა.

სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის საინტერესოა მდინარე გუჯარულას ქსელის განვითარება. მას წაღვერის ბუნებრივ რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი 39 კილომეტრზეა გადაჭიმული და სათავეს გვირგვინასა და ციხისჯვრის, ცხრაწყაროს ქედების შესართავთან იღებს, დასავლეთით მიედინება და ბორჯომთან მტკვარს ერთვის. ამ მდინარეზე შესაძლებელია თევზაობა, რაც შეიძლება ზოგიერთი დამსვენებლისთვის საინტერესო იყოს. გუჯარეთის ხეობაში ბევრი სანახაობა და ისტორიული ძეგლია. აქ 11 ნასოფლარია, ერთ-ერთი არის თვითონ გუჯარეთი. საინტერესოა, რომ ამ ადგილებში შესაძლებელია არაჩვეულებრივი სამთო-სათხილამურო ტრასების მოწყობა. იმიტომ, რომ სუბ-ალპური სარტყელია და საკმაოდ დახრილი ფერდობები ახასიათებს *(გელაშვილი, 2019)*.

კლდეზე ცოცვა, მეკლდეურობა

საბჭოთა პერიოდში წაღვერში ტარდებოდა კლდეზე ცოცვის ტურნირები. კურორტზე არის ბუნებრივი კლდეები და კარგი საცოცი ადგილები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ადგილები გვხვდება წაღვერიდან ტიმოთესუბნისკენ მიმავალ გზაზე *(ხოშტარია, 2019)*. მეკლდეურობა არის სპორტისა და დასვენების ერთ-ერთი სახეობა. მისი სპორტული არსი მდგომარეობს მთების მწვერვალებისაკენ მიმავალ გზაზე ბუნებრივად წარმოშობილი წინაღობების (სიმაღლე, რელიეფი, ამინდი) გადალახვაში *(გულბანი, 2015)*. წაღვერის გეოგრაფიული რელიეფის გათვალისწინებით სპორტის ამ სახეობის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს. საინტერესოა ისიც, რომ ბავშვები პრაქტიკულად 5 წლიდან უკვე აქტიურად ერთვებიან და ეუფლებიან მას, თუმცა 3 წლიდანაც კი შესაძლებელია სპორტის ამ სახეობით დაკავება. შესაბამისად, შეიძლება არამ ხოლოდ ტურნირებისა და სპორტული ღონისძიებების ჩატარება, არამედ ბავშვთა

სპორტული ბანაკების ორგანიზებაც, სადაც მოხდება აღნიშნული სპორტის დაუფლება. კლდეზე ცოცვა სხეულის პრაქტიკულად ყველა კუნთს ავითარებს, ასევე ხელს უწყობს გონებრივ მობილიზებას, კოორდინაციას *(გულბანი, 2015).* აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი იქნება კლდეზე ცოცვისთვის საჭირო ყველა ატრიბუტის შეძენა, პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებიც ადგილობრივ თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მსურველებს დაეხმარებიან სიმაღლეების დაპყრობაში. საჭიროა გამოცდილი ინსტრუქტორები, პროფესიონალი გიდები და მაშველები.

რაც შეეხება სათავგადასავლო ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებას, შესაძლებელია ბანგი-ჯამფინგის (ეიფელის ხიდიდან თავქვე გადმოხტომა, როდესაც მიწამდე მხოლოდ 10-დან 20 მ-მდე მანძილი რჩება) დანერგვა, ზიპ-ლაინის მოწყობა (გაჭიმულ გამძლე ფოლადის კაბელზე მოძრავი როლერი, რომლითაც ერთი ადგილიდან, მეორეში შეიძლება დაშვება), პარაპლანით ფრენა (თავისუფლად მფრენი აპარატი, რომელსაც ადამიანი მართავს), „ზორბინგი“ („ზორბი“- გიგანტური გამძლე გასაბერი ბურთი, რომელმაც შეიძლება 1 ან 2 ადამიანი დაიტიოს, რის შემდეგაც ხდება მისი დაგორება სახის ზედაპირზე, მათ შორის მიწაზე ან ბალახზე, ყინულსა და თოვლზე.

რაც შეეხება ჯომარდობის, რაფტინგის (მდინარეზე ტივებით დაშვება) ხელშეწყობას, მდინარე გუჯარულა მცირეწყლიანია. შესაბამისად აღნიშნული მიმართულების განვითარება მხოლოდ გაზაფხულზეა შესაძლებელი. წელიწადის ამ დროს ასევე შეიძლება მდინარეზე Flyboard –ის (ექსტრემალური სპორტის სახეობა, რომელიც წყლის ნაკადის რეაქტიული ძალის ხარჯზე განსაკუთრებულ დაფაზე ფრენის საშუალებას იძლევა) განვითარებაც.

ეკოტურიზმი

წაღვერის მდგრადი განვითარებისთვის ხელშემწყობი ტურიზმის მიმართულებაა, ეკოტურიზმი. წაღვერი ახლოსაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკთან, შესაბამისად შეიძლება ამ დაცული ტერიტორიიდან – მოიზიდოს ბუნებაში დასვენების მოყვარული

მოგზაურები, რომელთაც იზიდავს ხელუხლებელი გარემო, პეიზაჟები, ბუნება და ლანდშაფტები. ეკოტურისტები მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. მათი მიზანი ველურ, ხელუხლებელ ბუნებასთან ურთიერთობაა. ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ისეთი სეგმენტია, რომელიც შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების მონახულებას გულისხმობს. ასეთი შეიძლება იყოს წაღვერი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. ეკოტურიზმი გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად ვითარდება. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას. ამავდროულად იგი ხელს უწყობს საჭირო ინფორმაციის ადგილობრივ მოსახლეობაში თუ სამთავრობო დონეზე გავრცელებას. სწორად წარმართულ ეკოტურიზმს შესაძლოა ეკონომიკური სარგებელიც ჰქონდეს დაბისთვის. მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქტებზე, მომსახურებაზე, ინფრასტრუქტურის განვითარება, უცხოური ვალუტის შემოდინება და სხვა *(ბლიაძე, 2015)*.

აგროტურიზმი

წაღვერი შეიძლება შევადაროთ ავსტრიისა და შვეიცარიის მთის კურორტებს, რომლებსაც აქვთ არაჩვეულებრივი ლანდშაფტები და გარემო. ამ მსგავსების გამო, შესაძლებელია მათი ტურისტული გამოცდილების გამოყენებაც. აღნიშნული კურორტები ტურისტებს სოფლის ტურიზმით (გერმანულ ენაში ჰქვია Bauernhofturismus, სიტყვა-სიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმი) იზიდავს *(კვარაცხელია, 2019)*. სოფლის ტურიზმი გულისხმობს მცირე ჯგუფების მოგზაურობას დასვენების მიზნით ქალაქიდან მოშორებულ, სასოფლო დასახლებებში ადგილობრივი ტრადიციებისა და სოფლის ცხოვრების წესის გასაცნობად *(ყორღანაშვილი, 2019)*. ტურიზმის ეს სახეობა არ არის ძვირადღირებული. იგი იმითაა აღსანიშნავი, რომ მთელი წელი ფუნქციონირებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობ სუქმეებზე, შაბათ-კვირას და არდადეგების, შვებულების პერიოდში. ტურისტები სპეციალურად სტუმრობენ მთის კურორტებს, რომ მოკრიფონ კენკრა, ან ისარგებლონ გლეხის ეზოთი. ტურიზმის ეს სახეობა იზიდავს ევროპელ ტურისტებს, რომლებიც დიდი სიამოვნებით სეირნობენ ცხენზე და თუ ადგილობრივ მოსახლეობას

ექნება რესურსი, იქნება ბილიკები, შეიძლება აღნიშნული მიმართულების წაღვერსა და ცემში განვითარება. ასევე ტურისტს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, გაეცნოს ფოლკლორსა და ტრადიციებს, დაისვენოს მთიან სოფლებში და სურვილისამებრ ჩაერთოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, როგორიცაა, მაგალითად, ძროხის მოწველა, ყველის ამოყვანა, თევზაობა და ა.შ. დამსვენებელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფუტკრის მოვლისა და თაფლის მოპოვების პროცესში, მიიღოს გამოცდილება და შეიქმნას დაუვიწყარი შთაბეჭდილება. თავად დაამზადოს ჟოლოს, გირჩის მურაბა, ლიქიორი. აღნიშნული მიმართულების განვითარება განსაკუთრებით პერსპექტიული იქნება ტურისტების ევროპული სეგმენტისთვის. აგროტურიზმი ინარჩუნებს სოფლის თვითმყოფადობას. იგი აბათილებს ტურისტულ სეზონურობას, იზიდავს ტურისტებს სოფლებში, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ამაღლებს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

გაეროს განვითარების პროგრამით (UNDP) წაღვერში ბევრი რამ გააკეთა მისი და გარშემო არსებული სოფლების განვითარებისთვის. გაშენდა მარწყვისა და ჟოლოს ასევე სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურა, მოიყვანეს პომიდორი, გოგრა და სხვა. შეიქმნა ეკობაზარი. რამდენიმე ოჯახმა შექმნა კოოპერატივი, (ტიმოთესუბნის, მზეთამზის), გაშენდა ეკო-კოტეჯები ტიმოთესუბანში *(ღონღაძე, 2018)*. თემის წევრებმა საკუთარი ხელით დაიწყეს ბიოპროდუქტების მოყვანა და მუშაობა აგროტურიზმის განვითარების კუთხით. დამსვენებლებს შესაძლებლობა მიეცათ, შეიძინონ პროდუქცია პირდაპირ ფერმერებისგან. წაღვერში იწარმოება რიგი პროდუქტები, რომელთა მოხმარება ტურისტებისთვის ადგილზევე შესაძლებელია, თუმცა მცირე მასშტაბებით, რადგან წაღვერი ძალიან მცირემიწიანია. ძირითადად ადგილზე მოჰყავთ კენკრა, ასევე ფიჭვის მტვრისგან ამზადებენ გირჩის მურაბას. წაღვერში იმართება ხოლმე ბაზარი, სადაც დამსვენებლები ფერმერებისგან ყიდულობენ მათს ბაღში მოყვანილ მწვანილს, ასევე კვერცხს, რძის პროდუქტებს: ყველს, ნადუღსა და ა.შ. სასტუმრო სახლების მეპატრონეებს მზეთამზესა და ტიმოთესუბანში აქვთ თავიანთი ბოსტანი და ჰყავთ 2-3 ძროხა, ამიტომ ისინი საკუთარ სასტუმროს თავად ამარაგებენ საჭირო პროდუქციით *(ღონღაძე, 2018)*. აგროტურიზმის

უფრო ღრმა განვითარება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ წაღვერის, არამედ სხვა მიმდებარე სოფლების განვითარებასაც.

ველური და სამკურნალო მცენარეების ტურები

ტურისტები უკეთ გაეცნობიან წაღვერის ბუნების სიმდიდრეს სამკურნალო და ველური მცენარეების ტურების დახმარებით. წაღვერის ფლორა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს ბიომრავალფეროვნება წაღვერის განსხვავებული ლანდშაფტებისთვისაა დამახასიათებელი. აქ იზრდება ისეთი სამკურნალო მცენარეები, როგორებიცაა: თავშავა, ანწლი, ხარისშუბლა (მისგან ადრე პლატიფილინი მზადდებოდა ბათუმის ქარხანაში), უკვდავა (ნაღველმდენი), შავი კუნელი, ასკილი, ქრისტესსისხლა, ჟუჟრუკი, ბაყაყა, კლდისქონდარი (შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის არის კარგი საშუალება, ასევე თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის), კავკასიური გლერძი (ივლისის ცხელ დღეებში შეიძლება მისი გუმფისის მიღება, კეთდება ჩანაჭერი ღეროზე დაპირდაპირ მოედინება სითხე, რომელიც პირველი და მეორე კატეგორიის ნეფრიტს კურნავს), მრავალძარღვა, კრაზანა. აღნიშნული მცენარეების მოხმარებასთან დაკავშირებით ძველი რეცეპტები არსებობს ფანასკერტელ-ციციშვილის ძველ გამოცემებში და იქ შეიძელება დეტალური ჩვენებების ამოკითხვა *(გელაშვილი, 2019)*. ეს მცენარეები ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში იზრდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. შესაძლებელია მათი ბუნებრივი გავრცელების არეალიდან მოპოვება. მოსახლეობა, ვინც ერკვევა და არჩევს ამ მცენარეებს, აგროვებს მათ ზამთრისთვის, რომ წამლები არ მიიღოს.

მცენარეების შეგროვებისთვის ყველაზე შესაფერისი დრო დილის საათებია. ტყეში სეირნობისას აღნიშნული ტურიზმის სახეობა ხელს უწყობს ბუნებასთან კავშირის შენარჩუნებას, ფიზიკურ აქტივობას სუფთა ჰაერზე, გაჯანსაღებასა და ვიწრო, სპეციფიკური ცოდნის შეძენას. ველური და სამკურნალო მცენარეების ტური დასვენებისა და გართობის შესანიშნავი საშუალებაა მთელი ოჯახისთვის.

საფესტივალო ტურიზმი

ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებში დიდი ინტერესით სარგებლობს ტრადიციული ღონისძიებები და ფესტივალები. არსებობს მოთხოვნა საინტერესო ღონისძიებების გამართვისა და მათზე დასწრების, ვინაიდან საქართველოს მთიან რეგიონებსა და მცირე კურორტებზე (როგორიცაა წაღვერი) ტრადიციული ღონისძიებების სიმცირე აღინიშნება. ისინი ძირითადად დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში ტარდება, ხოლო მცირე დასახლებებში მსგავსი ღონისძიებების დეფიციტია. ფესტივალი ტურიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. მისი მეშვეობით ხდება ტრადიციებისა და ისტორიის, გამოცდილების წარმოჩენა. წაღვერში შეიძლება ჩატარდეს ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით ფიჭვის ყვავილობის ფესტივალი (მაისი-ივნისი). ამ დროს შესაძლებელი იქნება გირჩის მურაბის, ცაცხვის ჩაის, თაფლისა და ფიჭას მრავალფეროვანი ასორტიმენტის დაგემოვნება და მომზადებაში მონაწილეობა. ამავდროულად შესაძლებელია ფოტო გამოფენების, ხალხური რეწვის ვორქშოპების, ფერმერის დღეების ორგანიზებაც.

ზამთრის სახეობები

რეგიონში სამთო ტურიზმის განვითარება და ამ პროცესში წაღვერის აქტიურად ჩართვა ხელს შეუწყობს მას, რომ მიიღოს არამხოლოდ საკუთარი ტურისტები, არამედ მოემსახუროს ბაკურიანის, მიტარბისა და სხვა კურორტების დამსვენებლებს. სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებას დამატებითი სამუშაო ადგილებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა ახასიათებს. წაღვერს (თავისი ცენტრალური მდებარეობისა და ბორჯომ-ბაკურიანთან სიახლოვის გამო) შეუძლია ავსტრიის პატარა სამთო კურორტების მსგავსად შეასრულოს ე. წ. back-up კურორტის ფუნქცია, კერძოდ, ზამთარში ბაკურიანში სათხილამუროდ წასული ტურისტებისთვის იყოს, როგორც დასარჩენი, ღამისგასათევი ადგილი. ვინაიდან ბაკურიანში დარჩენა და განთავსება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ტურისტს, რომელიც სათხილამუროდ ჩადის, შეუძლია განთავსების საშუალებად აირჩიოს წაღვერის სასტუმრო (ფასთა სხვაობის გამო) და ყოველ დღე სასრიალოდ კუკუშკით ან ავტომობილით ავიდეს ბაკურიანში. ამით მცირდება

დამსვენებელთა საერთო ხარჯები და ამავდროულად ხდება ბაკურიანის ტურისტებისგან განტვირთვაც. საპირისპიროდ, ზაფხულში შეიძლება განიტვირთოს ბორჯომი ბევრი დამსვენებლისგან.

წაღვერის განვითარებაში შესაძლოა საკუთარი წვლილი შეიტანოს მიტარბის კურორტმაც, რომლის საბაგიროს მშენებლობამ (დასრულდა 2016 წელს) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის სრულფასოვან კურორტად ჩამოყალიბებაში. რეგიონში კურორტების განვითარება, აღმშენებლობა და ტურიზმის პოპულარიზაცია ხელს უწყობს ბაზრის ზრდას. შესაბამისად,იზრდება მოთხოვნა განთავსების საშუალებებზე.

2013 წელს დაარსდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“, რომლის მენეჯმენტში სხვა სათხილამურო კურორტებთან ერთად შედის ბაკურიანიც. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა ბაკურიანში, რომელიც გარდამტეხი ეტაპია საქართველოს ზამთრის კურორტების განვითარების ისტორიაში. ამრიგად სეზონის გახსნა დამოკიდებული აღარ იქნება ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე *(ჯორჯია თუდეი, 2016).* სათხილამურო სეზონი გაიზრდება 5 თვემდე. შესაძლებელი იქნება საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება, განხორციელდება ეროვნული ნაკრების წევრთა სტაბილური მომზადება. აღნიშნულ შემთხვევაშიც წაღვერს შეიძლება მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისროს: იგი გადაინაწილებს ბაკურიანის ტურისტთა დიდ ნაკადებს *(ჯორჯია თუდეი, 2016).*

წაღვერის ზამთრის კურორტად გადაქცევა შეიძლება ვერ მოხერხდეს (ჰიფსომეტრიული სიმაღლე - 1005-1050მ-ია, ხოლო ზედაპირის დახრილობა 5-30 გრადუსი). ის უფრო ზაფხულის მთის კურორტად შეიძლება გამოვიყენოთ, თუმცა მიუხედავად ამისა, აქ შეიძლება მცირე მასშტაბით ზამთრის ტურისტული სახეობების განვითარება, მაგალითად, თოვლში სპეციალური ფეხსაცმლით გაუკვალავ ტყეში სეირნობა, ან ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის, ისეთი ადამიანებისთვის სასრიალოდ ჩამოსვლა, ვინც არ იცის კარგად სრიალი და ურჩევნია ისწავლოს მარტივ ტრასაზე, ისარგებლოს წაღვერის თავისუფალი

ფერდობებით (ხშირად ბაკურიანის სათხილამურო ტრასები გადატვირთულია). ასეთი ტიპის პერსპექტიული და საკმაოდ მიმზიდველი ადგილი წაღვერში იდენტიფიცირებულია ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მიერ. აქ შესაძლებელია სრიალი და არ არის რთული, დიდი დახრილობის მქონე ციცაბო ფერდობები. თუმცა საუბარი არ არის მასშტაბურ კურორტად ჩამოყალიბებაზე *(ხოხობაია, 2019)*.

არსებული მონაკვეთი გეოდინამიკურად მდგრადია, რაც საშუალებას იძლევა განვითარდეს აუცილებელი ტურისტული ინფრასტრუქტურა. ტურიზმის აღნიშნულ სახეობებთან ერთად, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მცირემასშტაბიანი კორპორატიული საღამოების შედარებით იაფად გამართვა, ბანკეტებისა და ქორწილების ჩატარება. წაღვერში არსებული ლამაზი ხედები საშუალებას იძლევა კარგი ფოტოსესიების გასამართად. ამ მხრივ განსაკუთრებით ლამაზი ადგილებია ეიფელის ხიდი, ხედვის წერტილები, ბუნებრივი ლანდშაფტები. შესაძლებელია ინსენტივ ტურიზმის განვითარება - იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი კარგად იმუშავებს, დამსაქმებელი, ფირმა ან კორპორაცია უქმეებზე გაუშვებს წაღვერში დასვენება/გაჯანსაღებისთვისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

დასკვნა

- წაღვერის ტურისტული მიმართულება - კლიმატოთერაპია (ბავშვები, ოჯახური დასვენება).
- ბუნებრივი რესურსების პაკეტი - გამორჩეული მინერალური წყალი, ჰაერი, ფლორა.
- კულტურული რესურსები - ეიფელის ხიდი (იგეგმება რეაბილიტაცია), უზნარიანის ციხე, დაბისა და ტიმოთესუბნის ეკლესიები და ა.შ.

ვიზიტორთა სასურველი კატეგორიები:

- სტაციონარული დამსვენებლები, ოჯახები ბავშვებთან (1 კვირა -2 თვე);
- შუა და მესამე ასაკის დამსვენებლები 60 წელი და ზემოთ (ევროპელები - აქტიური დასვენება, ქართველები - პასიური);
- სპორტული და კულტურული ჯგუფები;
- 1 დღიანი ტურისტები ექსკურსანტები, ვიზიტორები;
- ბექფექერები (ზურგჩანთით მოხეტიალე ტურისტები);
- თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდები (ძირითადად, აქტიური დასვენება ბუნებისა და კულტურის არსებული რესურსების გამოყენებით);
- ინტელიგენცია;

დამსვენებელთა ძირითადი სეგმენტი:

დასავლეთ საქართველო (უმეტესად შავი ზღვისპირეთი);

ეპიზოდურად - პოსტსაბჭოთა სივრცე (ძირითადად რუსეთი);

უპირატესობები:

- სტრატეგიული მდებარეობა (ორ ტურისტულ ცენტრს შორის);
- რელიეფი, კონფიგურაცია, სიმყუდროვე;
- სიმაღლე ზღვის დონიდან;
- მდიდარი ბუნება;

- ჰავა, რომელიც უხდება ყველა ასაკის დამსვენებელს;
- მზის რადიაციის დიდი ხანგრძლივობა;
- სამკურნალო რკინისშემცველი წყალი;
- შედარებით დაბალი ფასები;
- არ არის ინტენსიურად განაშენიანებული, გადატვირთული და ათვისებული;

ტურიზმის მიმართულებები, რომელთა განვითარების პოტენციალი არსებობს:

- სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი;
- ბავშვთა, მოზარდთა ბანაკები;
- სათავგადასავლო ტურიზმი (ველოტურები, საფეხმავლო, სალაშქრო და შემეცნებითი ტურები, ტურიზმი, კლდეზე ცოცვა);
- სპირიტული და ჰოლისტიკური ტურიზმი;
- საფესტივალო ტურიზმი;
- ეკოტურიზმი;
- აგროტურიზმი;
- ველური და სამკურნალო ყვავილების ტურები;
- ზამთრის ტურიზმის სახეობები.

პერსპექტივები:

- ცენტრში სასტუმროს მშენებლობა საკუთარი აუზითა და ტრენაჟორებით, რაც იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი *(ღონღაძე, 2018)*;
- კულტურის სახლის (ჰყავს ორასამდე მოსწავლე) რეაბილიტაცია. ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის. იარსებებს საგამოფენო, საცეკვაო და საკონცერტო დარბაზები;
- მდინარე გუჯარეთისწყლის ხეობის განვითარება;

- შესაძლებელია მსგავს კურორტებთან (ავსტრიის საშუალომთიანი კურორტები, მაგალითად ზაალფელდენი) დამეგობრება და მათი გამოცდილების გაზიარება *(ყუფარაძე, 2019)*;
- ბორჯომ-ბაკურიანის გზა გახდეს ცალმხრივი (მოძრაობა ბაკურიანისაკენ), ბაკურიანიდან გზა ჩამოვიდეს მიტარბის გავლით. წრიული მარშრუტი განტვირთავს მოძრაობას და განავითარებს წაღვერსა და მიმდებარეკურორტებს.

წაღვერის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, პერსექტივა შიდა ტურიზმის განვითარებას უკავშირდება. სწორედ მან უნდა წამოიწიოს წინ პირველ ეტაპზე. საქართველოში ეს კურორტი შედარებით ცნობილია მაღალი ასაკის დამსვენებლებში და აქვს გარკვეული რეპუტაციაც, რაც დადებით როლს შეასრულებს მისი ტურისტული განვითარებისთვის. წაღვერში ხელშესახები შედეგების დადგომის შემთხვევაში შესაძლებელია 3-5 წლამდე პერიოდში არსებული რესურსების დატვირთვა, ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება (საჯარო, კერძო ბიზნესის სერვისები) და რიგი არსებული პრობლემების გადაჭრა. როდესაც ტურისტები ევროპიდან დარწმუნდებიან კურორტის უსაფრთხოებასა და საიმედოობაში, ისინი ავტომატურად გაავრცელებენ ინფორმაციას ზეპირსიტყვიერად ერთმანეთში, რაც ხელს შეუწყობს კურორტის უფრო აქტიურ ათვისებას.

დღეს, საქართველოში ტურიზმის განვითარება წაღვერზე სათანადოდ ვერ აისახება, თუმცა იდგმება გარკვეული ნაბიჯები განვითარებისთვის. მაგალითად, არსებობს თუნდაც საოჯახო სასტუმროების ფუნქციონირების წარმატებული შემთხვევები. ეს იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ გარკვეულწილად, მეტნაკლებად განვითარებულია მცირე, საოჯახო ბიზნესი. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ სურვილი, ტურისტულ ბიზნესში იყვნენ ჩართული და წაღვერს სრულფასოვანი კურორტის იერსახე შესძინონ. მიუხედავად იმისა, რომ კურორტის მასშტაბები მცირეა და ტურიზმის განვითარების ტემპები ძალიან დაბალი, წაღვერს გამორჩეული ტურისტული პოტენციალი და რესურსები

აქვს, რომ მთელი წლის განმავლობაში მიიღოს დამსვენებელო და მოემსახუროს მას. წაღვერის საშუალებით შესაძლებელია ტრადიციული კურორტების წინ წამოწევა და მათი პრობლემების გაჟღერება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, მ. (2010). მოგონებები წაღვერზე. *თბილისი: ინტელექტი.*

ბერძენიშვილი, ნ. (1977). ბალნეოლოგია. ი. აბაშიძე, & რ. მეტრეველი (რედ.)-ში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია *(ტომი 2, გვ. 176-177). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.*

ბერიშვილი. (1972). პანსიონატ კეჩხობის ანგარიში. *უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (ფონდი საქართველოს სსრ კომისარიატთა საბჭო) 600, ანაწერი 1, საქართველო, თბილისი.*

ბლიაძე, მ. (2015 წლის 27 მაისი). რა არის ეკოტურიზმი. *მოპოვებული 2019 წლის 17 ივნისი, mastsavlebeli.ge: http://mastsavlebeli.ge/?p=1084-დან.*

გელაშვილი, ვ. (2019 წლის 9 მაისი). კურორტ წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების ახალი მიმართულებები. (ტ. სიჭინავა, ინტერვიუერი)

გოგავა, ე. (1898 წლის 23 აპრილი). წაღვერი. ცნობის ფურცელი *, გვ 3.*

გოგბერაშვილი, მ. (2017 წლის 16 მაისი). წაღვერი - ულამაზესი ადგილი დასვენების და მოგზაურობისთვის. *მოპოვებული 2019 წლის 14 ივნისი, http://blog.turebi.ge/?page=detail&cat_id=766&id=7594-დან.*

გულბანი, გ. (2015 წლის 14 თებერვალი). მეკლდეურობა ქართული ტრადიციული სპორტის სახეობაა, ეს სპორტი ჩვენს გენეტიკურ კოდში ზის. მოპოვებული 2019 წლის 17 მაისი http://kvira.ge/151833-დან.

ეიფელის ხიდი (2019). Travel in Borjomi. *მოპოვებული 2019 წლის 28 ივნისი https://travelinborjomi.ge/ka/sights/7/eipelis-khidi)-დან.*

ელიზბარაშვილი, ნ. (2018). წაღვერის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური და ტურისტულ-რეკრეაციული თავისებურებანი. *თბილისი.*

ელიზბარაშვილი, ე. (2007). საქართველოს კლიმატური რესურსები. თბილისი. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

თოდრია, ს. (1928). უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი *(ფონდი საქართველოს სსრ კომისარიატთა საბჭო) 600, ანაწერი 1, საქმე 1811, საქართველო. თბილისი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2018). მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები დაბა წაღვერში. საველე პრაქტიკის ანგარიში *თბილისი.*

კაიშაური, მ., & შავიშვილი, ნ. (2015). ბორჯომ-ბაკურიანის ჯგუფის კურორტები და მათი განვითარების პერსპექტივები. ე. თ. უნივერსიტეტი-ში, სამეცნიერო შრომების კრებული მერმისი *(ტომი 9, გვ. 58-62). თბილისი: უნივერსალი.*

კეპულაძე, რ. (1977). წაღვერი. გაზეთი ქუთაისი *, 19 ივლისი #140.*

კვარაცხელია, ნ. (2019 წლის 27 მაისი). კურორტ წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების ახალი მიმართულებები. (ტ. სიჭინავა, ინტერვიუერი)

კვარაცხელია, ნ., & ყუფარაძე, გ. (2018). სპა ინდუსტრია და აბანოები. *თბილისი. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიური, მრავალდარგობრივი სამეცნიერო შრომათა კრებული #8.*

ლიპარტელიანი, ი., & ნინიკაშვილი, თ. (2014). საქართველოს 100 კურორტი. *გვ.97-98 თბილისი: კლიო.*

მაისურაძე, ი. (1978). წიაღველი, წაღვერი და წიაღი. სახალხო განათლება, *გვ. 4.*

მენაბდიშვილი, მ. (2017 წლის 05 07). თუ დასვენებას მცირე ბიუჯეტით გეგმავთ, მაშინ საქართველოს ამ 13 კურორტს უნდა ეწვიოთ. მოპოვებული 2019 წლის 20 ივნისი https://www.allnews.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/154541-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%97-%E1%83%96%E1%83-დან

ნიორაძე, გ. (1987). წაღვერი. ი. აბაშიძე, & რ. მეტრეველი-ში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია *(ტომი 11, გვ. 301). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.*

ნოდია, მ. (1976). საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. *თბილისი: საბჭოთა საქართველო.*

ნოდია, მ. (1983). კურორტი. ი. აბაშიძე, & რ. მეტრეველი (რედ.)-ში, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია *(ხმა 6, გვ. 82-83). თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.*

ჟვანია, ლ. (2013 წლის 21 იანვარი). სათავგადასავლო ტურიზმი. თბილისი, საქართველო მოპოვებილი 2019 წლის 3 აპრილი http://intermedia.ge-დან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2014). მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014. *თბილისი: საქსტატი.*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2003). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. *თბილისი: საქსტატი.*

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2018). 2018 წელს საქართველოში 8,679,544 საერთაშორისო ვიზიტი შედგა. *თბილისი. მოპოვებული 2019 წლის 11 ივნისი https://gnta.ge/ge/2018-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-8679544-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0/-დან.*

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო. (2018). საერთაშორისო ვიზიტორების კვლევის ანგარიში. *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო.*

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2016). ტურიზმის ადმინისტრაციის 2016 წლის ანგარიში. *თბილისი. მოპოვებული 2019 წლის 10 ივნისი https://gnta.ge/ge/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-*

%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83a-3/-დან

ტიმოთესუბნის წყარო (თ. გ.). მოპოვებული 2019 წლის 20 ივნისი, Travel in Borjomi: https://travelinborjomi.ge/ka/minerals/34/timotesubnis-tskharo-დან

ღონღაძე, მ. (2018 წლის 17 ივლისი). კურორტ წაღვერის ტრანსდისციპლინური კვლევა. (ლ. ხარტიშვილი, ინტერვიუერი)

ყორღანაშვილი, ლ. (2019 წლის 18 June). აგროტურიზმი როგორც ტურიზმის დამოუკიდებელი მიმართულება. მოპოვებული 2018 წლის 29 ივლისი, Agrokavkaz.ge: http://agrokavkaz.ge/agroplus/agroturizmi-rogorts-turizmis-damoukidebeli-mimarthuleba.html-დან

ყუფარაძე, გ. (2019 წლის 10 მაისი). კურორტ წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების ახალი მიმართულებები. (ტ. სიჭინავა, ინტერვიუერი)

ყუფარაძე, გ. (2018). სალექციო კურსი: სამკურნალო ტურიზმი და სპა ინდუსტრია. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ლექცია #4. თბილისი

შავიშვილი, ნ. (2009). თრიალეთის მთიანი მასივის კლიმატურ-რეკრეაციული რესურსები და ტურისტული პოტენციალის შეფასება. თბილისი: უნივერსალი.

შონია, ს. (1982) "წაღვერი დღეს და ხვალ", საბჭოთა აფხაზეთი. 31ოქტომბერი, #209, გვ.4. სოხუმი.

წაღვერი. (2013). წაღვერის ტურისტული ცენტრი. მოპოვებული 2019 წლის 15 მაისი https://torigujareti.weebly.com/433243044326430943084320 4312.html-დან.

წავიდეთ წაღვერში. (2013). ავერსი (#3 (98)) მოპოვებული 2019 წლის 1 მაისი https://www.aversi.ge/ka/cnobari/513/wavidet-waghvershi-დან.

ხელაშვილი, ი. (2019 წლის 13 მაისი). კურორტ წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების ახალი მიმართულებები. (ს. ტატიანა, ინტერვიუერი)

ხოშტარია, თ. (2019 წლის 25 მაისი). წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების მიმართულებები. (ტ. სიჭინავა, ინტერვიუერი)

ხოხობაია, მ. (2019 წლის 30 მაისი). კურორტ წაღვერის რეაბილიტაცია და განვითარების ახალი მიმართულებები. (ტ. სიჭინავა, ინტერვიუერი)

ჯორჯია თუდეი. (2016). საქართველოს ზამთრის კურორტები. (მ. ბიბილაშვილი , რედ.) მატარებელში საკითხავი *(6), გვ. 84-86.*

Business Media Georgia. (2019 წლის 12 მაისი). კოხტა-მიტარბში ROOMS-ის მესამე სასტუმრო სექტემბერში გაიხსნება. თბილისი, საქართველო: Business Media Georgia. დაბრუნებული https://www.bm.ge/ka/article/koxta-mitarbshi-rooms-is-mesame-sastumro-seqtembershi-gaixsneba/19438-დან.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University. (2018). Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri. Case Study, Georgia. Tbilisi.

MRDC. (თ. გ.). ბაკურიანი. თბილისი, საქართველო. Mountain Resorts Development Company. მოპოვებული 2019 წლის 15 მაისი, http://www.bakuriani.ski/geo/main/index/63-დან.

MRDC. (თ. გ.). მიტარბი. თბილისი, საქართველო: Mountain Resorts Development Company. მოპოვებული 2019 წლის 15 მაისი, http://www.bakuriani.ski/geo/main/index/134-დან

Figueroa, A. (2019 წლის 26 ივნისი). MICE: Meetings, Incentives, Conferences, and Exhibitions მოპოვებული 2019 წლის 20 ივნისი https://www.tripsavvy.com/what-is-mice-in-the-travel-industry-3252496-დან.

Pohl, C., Hirsch Hadorn, G. (2007). Principles for Designing Transdisciplinary Research. *München: oekom Verlag.*

Roser, M. (2019). Our World in Data *მოპოვებული 2019 წლის 15 მაისი https://ourworldindata.org/tourism: https://ourworldindata.org/tourism-დან*

World Tourism Organization. (2018). Tourism Highlights. *Madrid: UNWTO.*

Бобылев, С., Гирусов Э,. Перелет Р. (2004). Экономика устойчивого развития. *Москва: Ступени.*

დანართი

ცხრილი #1 *: საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა საქართველოში (2013-2018).*

ვიზიტის ტიპი	2013	2014	2015	2016	2017	2018
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	5 734 898	5 888 709	6 305 635	6 719 975	7 902 509	8 679 544
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	4 954 448	5 004 331	5 255 999	5 392 816	6 482 830	7 203 350
ტურისტული ვიზიტი	2 884 295	2 938 892	3 011 663	3 297 275	4 069 354	4 756 820
ერთდღიანი ვიზიტი	2 070 153	2 065 439	2 244 336	2 095 541	2 413 476	2 446 530
სხვა (არატურისტული)	780 450	884 378	1 049 636	1 327 159	1 419 679	1 476 194

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2013-2018).

ცხრილი #2

წაღვერის მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

	ორივესქესი				მამაკაცი				ქალი			
	სულ	0-17	18-64	65+	**სულ**	0-17	18-64	65+	**სულ**	0-17	18-64	65+
დაბა წაღვერის ტერიტორიული ორგანო	**1574**	**327**	**969**	**278**	**760**	**167**	**480**	**113**	**814**	**160**	**489**	**165**
დაბა წაღვერი	**799**	**170**	**477**	**152**	**374**	**87**	**227**	**60**	**425**	**83**	**250**	**92**
დაბა	194	38	124	32	99	23	64	12	95	15	60	20
ტიმოთესუბანი	235	58	141	36	119	28	74	17	116	30	67	19
მზეთამზე	346	61	227	58	168	29	115	24	178	32	112	34

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები).

დიაგრამა #1-დან დიაგრამა #13-ის ჩათვლით, ასევე ცხრილები #3, #4 და გრაფიკები #1-#3, ეფუძნება ტრანსდისციპლინური კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

დიაგრამა #1

გამოკითხულ რესპოდენტთა სქესობრივი განაწილება



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #2

გამოკითხულთა ასაკობრივი სტრუქტურა



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #3

გამოკითხულთა ასაკობრივი სტრუქტურა



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #4

გამოკითხულთა განათლების დონე



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #5

გამოკითხულთა დასაქმების დონე



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #6

გამოკითხულთა დასაქმება სექტორების მიხედვით



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #7

რესპოდენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #8

გამოკითხულთა სურვილი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

გრაფიკი #1

გამოკითხულთა მიზეზები, თუ რატომ სურთ სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლა



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #9

რესპოდენტთა პასუხი კითხვაზე აპირებენ თუ არა, რეალურად საცხოვრებლის შეცვლას



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #10

საცხოვრებლის დატოვების რეალური მიზეზები



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

გრაფიკი #2

გამოკითხულთა ოჯახებში დასაქმებული წევრების რაოდენობა



გრაფიკიდან ჩანს, რომ 22 ოჯახს არც ერთი წევრი არ ჰყავს დასაქმებული, 29 ოჯახს დასაქმებული ჰყავს 1 წევრი, 18 ოჯახს - 2, 6 ოჯახში 3 წევრია დასაქმებული, 4-ში - 4 წევრი და მხოლოს 1 ოჯახში - 5 წევრი.

წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #10

გამოკითხულთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #11

მიწის გამოყენება რესპოდენტების მიერ



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

გრაფიკი #3

გამოკითხულთა შეფასება თემში სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბოლო 5 წლის განმავლობაში



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #12

სხვა ქალაქში გადაადგილების ინტენსივობა და ადამიანთა პროცენტული რაოდენობა



წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

დიაგრამა #13

სასტუმროს კრიტერიუმების შეფასება



ცხრილი #3

რესპოდენტების მიერ დაბა წაღვერის შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება

დასახელებული შემაფერხებელი ფაქტორები	პასუხები	
	რაოდენობა	%
სასმელი წყალი	33	21.6%
უმუშევრობა	45	29.4%
ინფრასტრუქტურა	29	19.0%
კანალიზაცია	10	6.5%
სამეურნეო ტექნიკის არ არსებობა	1	0.7%
უყურადღებობა სახელმწიფოს მხრიდან	14	9.2%
კურორტის ნაკლები ცნობადობა და რეკლამირება	4	2.7%
გართობისსაშუალებები	3	2.0%
ტურ-გაზების დახურვა	1	0.7%
განათლების ნაკლებობა	2	1.3%
მუნიციპალურიტრანსპორტისარარსებობა	3	2.0%
სამედიცინომომსახურება	2	1.3%
ტყე	6	3.9%
ჯამი	153	100.0%

წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

ცხრილი #4

რესპოდენტების მიერ შემოთავაზებული პრობლემების გადაჭრის გზები

გამოსავალი პრობლემებისგან	*პასუხები*	
	რაოდენობა	*%*
უჭირს პასუხის გაცემა	*14*	*13.5%*
გლეხის როლის გაზრდა	*2*	*1.9%*
პენსიის ზრდა	*1*	*1.0%*
ტურიზმის განვითარება	*7*	*6.7%*
სამუშაო ადგილების გაზრდა	*16*	*15.4%*
განათლება	*2*	*1.9%*
სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა	*33*	*31.7%*
სატრანსპორტო ქსელის განვითარება	*2*	*1.9%*
მთავრობის ცვლილება	*2*	*1.9%*
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	*9*	*8.7%*
წყლის ჩამომსხმელი ქარხანის აშენება	*1*	*1.0%*
ინვესტორების შემოსვლა	*5*	*4.8%*
წყლის პრობლემის მოგვარება	*7*	*6.7%*
საზოგადოებრივი სახლი	*3*	*2.9%*
ჯამი	*104*	*100.0%*

წყარო: Possibilities of Sustainable Tourism Development in the Borough Tsagveri, 2018.

ცხრილი #5

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების* რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

(საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)

წელი	სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა	*მათ შორის:*					
		შპს	ი. მ.	კოოპერატივი	ს. ს	ს.პ.ს	სხვა
2012	61	23	32	–	5	–	1
2013	52	23	25	–	3	–	1
2014	62	33	26	–	3	–	–
2015	62	34	24	–	4	–	–
2016	78	43	30	–	5	–	–
2017	78	45	27	–	6	–	–

_ - მოვლენა არ არსებობს

**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით).*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012-2017);

ცხრილი #6

ნომრების და ადგილების რაოდენობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სასტუმროებში და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში*

(საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)

წელი	ადგილების საერთო რაოდენობა	ნომრების რიცხვი	*მათ შორის:*			
			ლუქსი	ერთადგილიანი	ორადგილიანი	სამიდამეტიადგილით
2012	3275	1441	103	28	1004	306
2013	3081	1385	109	39	992	245
2014	3982	1812	356	28	1169	259

2015	4339	2041	262	91	1397	291
2016	5246	2317	239	41	1540	497
2017	4720	2057	173	44	1434	406

**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით).*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012-2017);

ცხრილი #7

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების* შემოსავლები და ხარჯები

(საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)

(ათასი ლარი)

წელი	შემოსავალი ნომრებით სარგებლობიდან	ხარჯი
2012	7525,2	6673,1
2013	7993,4	7141,9
2014	10277,0	9948,1
2015	17498,8	40181,3
2016	25372,7	53544,4
2017	32012,8	47739,8

**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები (ადგილობრივიერთეულებისადაფილიალებისჩათვლით).*

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2012-2017);

რუკა # 1

წაღვერის მდებარეობა საქართველოში, შესრულებულია GIS-ში, 2019.



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რუკა#2

საქართველოს ფიზიკური რუკა, მასზე დატანილი რეგიონებით, მუნიციპალიტეტებითა და დასახლებებით. შესრულებულია GIS-ში.



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2019

რუკა#3 *სამცხე-ჯავახეთის რეგიონული რუკა*



წყარო:http://georgiannaturalstones.com/regions/samcxe_javaxeti/sabadota_ganlageba_samcxe_javaxeti.html

დაამუშავა ავტორმა, 2019.

რუკა # 4 *1970-იანი წლების ტოპო რუკა, მასშტაბი 1:25 000.*

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

რუკა#5 *წაღვერის ტურისტული ინფრასტრუქტურა, შესრულებულია GIS-ში.*



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2019

რუკა#6 *წაღვერის ზოგადი რუკა, შესრულებულია GIS-ში.*



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2018.

რუკა #7

რეგიონის (ბორჯომი) ფიზიკური რუკა გამოყოფილი წაღვერის ტერიტორიითა და სხვა ერთეულებით, შესრულებულია GIS-ში.



წყარო: წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2019.

რუკა #8

წაღვერის ორთო რუკა 2005



წყარო: წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2005.

რუკა #9

წაღვერის ორთო რუკა 2016

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016.

ფოტო #1

წაღვერი 1917 წელს, ფოტოგრავირება შერერის (Scherer) მიერ.



ფოტო #2

წაღვერის რკინიგზის სადგური, 2008 წელი. ფოტოს ავტორი: მამუკა ჩადუნელი

ფოტო #3

ხანძარი წაღვერში , 2017 წლის 26 ივლისი, ნუცა ტრაპაიძის ფოტო.

ფოტო #4

ეიფელის ხიდი, 2018. გადაღებულია ტრანსდისციპლინური კვლევის დროს ავტორის მიერ.

ფოტო #5

ცემი 2018, გადაღებულია ავტორის მიერ.

ფოტო # 6

მარიჯანის სახლი. 2018. გადაღებულია კვლევის დროს.

ინტერვიუე ქსპერტებთან

1. რა ნიშა ეკავა წაღვერს საბჭოთა პერიოდში? წარმოადგენდა იგი მნიშვნელოვან კურორტს, თუ იყო ბორჯომის, წყალტუბოს ჩრდილში?

2.რა ვითარებაა დღეს წაღვერში, აისახება თუ არა ქვეყანაში ტურიზმის განვითარება წაღვერზე?

3.რა პრობლემები შეიძლება ვლინდებოდეს დღეს წაღვერში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით?

4.თავისი ბუნებრივი გარემოთი, ბუნებრივი პირობებით რომელ საერთაშორისო კურორტს შეიძლება შევადაროთ წაღვერი?

5.როგორ წარმოგიდგენიათ ამ კურორტის რეაბილიტაცია, როგორ უნდა მოხდეს ის?

6.შესაძლებელია თუ არა აქ სამკურნალო და ველნეს ტურიზმის განვითარება?

7.ტურიზმის რომელი ახალი მიმართულებების განვითარება იქნება ყველაზე მომგებიანი წაღვერში? შეიძლება გამოვიყენოთ მსგავსი საზღვარგარეთის კუროტების გამოცდილება?

8.რა უნიკალური სერვისები თუ პირობები შეიძლება შესთავაზოს წაღვერმა დამსვენებლებს?

9. რა მიგაჩნიათ წაღვერის ძლიერ, კონკურენტულ მხარედ ბორჯომთან, ბაკურიანთან სხვა კურორტებთან შედარებით?

10. როგორ ფიქრობთ, შეძლებს წაღვერი ინდივიდუალურად განვითარებას, თუ მეტად უნდა მიებას ბორჯომი ბაკურიანის ჯაჭვს?

ინტერვიუ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთან/ადგილობრივი თემის

წარმომდაგენელთან

(თემა: რა სიკეთე და რა პრობლემები მოაქვს ტურიზმის განვითარებას?)

1. რეგიონის განვითარების სამოქმედო გეგმაში რამდენად გათვალისწინებულია/ასახულია წაღვერში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა? თუ კი, როგორია ხედვა, მიზნები და პროექტები?

2. სტრატეგიის და სამქმედო გეგმის განხორციელებაში რამდენად არის ჩართული

ადგილობრივი თემი?

3. რა დადებითი შედეგები მოიტანა ტურიზმის განვითარებამ წაღვერის თემისთვის და

ზოგადად ბორჯომის რაიონისთვის:

- *პირდაპირი დასაქმების თვალსაზრისით*
- *ირიბი დასაქმების თვალსაზრისით*
- *მოსახლეობის გადინების შემცირების თვალსაზრისით*
- *ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით*
- *ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების თვალსაზრისით*
- *კულტურული ობიექტებისა და აგილების დაფინანსებისათვის;*
- *დაცული ტერიტორიების დაფინანსებისთვის*
- *სხვა.....*

4. რა პრობლემები ვლინდება წაღვერში და ზოგადად ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით?

4.1 ბუნებრივ გარემოსთან მიმართებაში:

- *დანაგვიანება და დაბინძურება*
- *ბუნებრივი გარემოს დაზიანება მშენებლობის პროცესში*
- *ბუნებრივი გარემოს დაზიანება კურორტების ფუნქციონირების პროცესში*

4.2. რა სოციალური ხასიათის პრობლემები ვლინდება ტურიზმის განვითარებასთან

დაკავშირებით?

- *ვლინდება კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს შორის*

(მაგალითები)

- *მატულობს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება უჩვეულო კულტურული*
- *ტრადიციების მატარებელი ტურისტების მიმართ*
- *მატულობს ტურისტებთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევების რიცხვი*
- *ხდება ადგილობრივი ტრადიციების კომერციალიზაცია იდენტურობის შენარჩუნების ხარჯზე*

4.1 კიდევ რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული ტურიზმის განვითარება:

- *წყლით მომარაგების თვალსაზრისით*
- *ნაგვის გატანის და სანაგვეები ორგანიზების თვალსაზრისით;*
- *სანიტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით*
- *ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით*
- *სხვა.....*

5. რა პრეტენზიები გამოითქმება ყველაზე ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის, ტურიზმში ჩაბმული მეწარმეების და ტურისტების მხრიდან?

6. რა დადებითი მოსაზრებები გამოითქმება ყველაზე ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის, ტურიზმში ჩაბმული მეწარმეების და ტურისტების მხრიდან?

7. ტურიზმის განვითარებისათვის რომელ 3-5 მიმართულებას ესაჭიროება ყველაზე მეტად სახელმწიფო ან/და არასამთავრობო დაფინანსება

8. ტურიზმთან დაკავშირებით რომელი მიმართულებაა ყველაზე მიმზიდველი კერძო ინვესტიციების მოსაზიდად?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tatiana Sitchinava

Rehabilitation and Detecting New Directions of Development in resort Tsagveri : Transdisciplinary Approach

Human Geography

The master thesis is accomplished to obtain the Master's academic degree in Human Geography

Supervisor: Nino Pavliashvili,

PhD of Geography,

Assossiate Professor

Tbilisi 2019